USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

საქართველოს
სახალხო დამცველი

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისთვის

თბილისი
2024

ანგარიში მომზადდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი

მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერები 4
მეთოდოლოგია 5
ძირითადი მიგნებები 8
ბავშვები 8
აღმზრდელები 9
ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტები და სერვისის მიმწოდებლები 10

1. საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიმოხილვა

1.1. მისაწვდომი მართლმსაჯულება – საერთაშორისო სტანდარტი 11
1.1.2. სახელმწიფო ზრუნვა – საერთაშორისო სტანდარტი 12
1.2. ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტი 13

2. პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა

2.1. ცოდნა უფლებების შესახებ 16
2.1.1. ბავშვები 16
2.1.2. აღმზრდელები 18
2.2. ინფორმაცია ბავშვთა დაცვის მექანიზმების შესახებ 21
2.2.1. ბავშვები 21
2.2.2. აღმზრდელები 25
2.3. ცოდნა ცხელი ხაზის შესახებ 27
2.3.1. ბავშვები 27
2.3.2. აღმზრდელები 27
2.4. ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებთან და სერვისის მიმწოდებლებთან გასაუბრების შედეგები 28
2.4.1. რესურსების ნაკლებობა 28
2.4.2. პროფესიული განათლება/გადამზადება 30
2.4.3. რთული ქცევის მართვა 33
2.4.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სერვისები 36
2.4.5. სასამართლო 36
2.4.6. სამართალდამცავებთან ურთიერთობა 38
2.4.7. დამოკიდებულებები 39

დასკვნა 41

რეკომენდაციები 43

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი არის სპეციალური ანგარიში, რომელიც 2023 წლის მარტიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების მართლმსაჯულებაზე წვდომის თაობაზე ჩატარებული კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება" გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტიანი რეალიზების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. *ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკის შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული.* ეს არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, მასში მონაწილეობისა და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემით, ასევე, პატივისა და ღირსების გათვალისწინებით.[1]

საქართველოში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება 2009 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის მიღებით დაიწყო. რეფორმის ფარგლებში დაინერგა განრიდების და მედიაციის პროგრამა. კანონთან შემხებლობაში მყოფი ბავშვების მიმართ დამკვიდრდა ინდივიდუალური მიდგომა, დაიწყო პროფესიონალთა სპეციალიზაცია.[2] 2015 წელს მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ხოლო 2019 წელს ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელმაც დაამკვიდრა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემასთან შემხებლობაში მყოფი არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტიები, განრიდების პროგრამაში ჩართვის და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ფორმების გამოყენების უპირატესობა, პროფესიონალთა სავალდებულო სპეციალიზაცია, მულტიდისციპლინური მიდგომა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, ოჯახურ გარემოს დროებით ან სამუდამოდ მოკლებული ბავშვი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განსაკუთრებული დაცვითა და დახმარებით. ეროვნული კანონმდებლობით, მათთვის გარანტირებული უნდა იყოს ალტერნატიული ზრუნვა, რაც, შესაძლოა, მოიცავდეს, მათ შორის, მინდობით აღზრდას, შვილად აყვანას ან აუცი-

[1] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებები, გვ. 17.

[2] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში, 2017, გვ. 3 < https://shorturl.at/aeil4 > [ბოლოს ნანახია: 09.12.2023].

ლებლობის შემთხვევაში, შესაბამის სააღმზრდელო დაწესებულებაში განთავსებას.[3] ზრუნვის ფორმის შერჩევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს: ბავშვის აღზრდის უწყვეტობა იმავე გარემოში, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ენობრივი მახასიათებლები. მათ შორის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების ინფორმირება და დაცვის მექანიზმებზე ეფექტიანი წვდომის უზრუნველყოფა, რადგან სწორედ ისინი იმყოფებიან უფლებათა დარღვევის განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე. შესაბამისად, სახელმწიფო უპირატესად ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვების ინფორმირებაზე და პარალელურად, მათი სხვა, მათ შორის, ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) განსაკუთრებულ ყურადღებას, სწორედ, ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებზე ამახვილებს. ბავშვზე ზრუნვის შინაარსისა და სამართლებრივი დაცვის სტანდარტების სიცხადისთვის, გაერომ, სწორი და ბავშვზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად და ხელშესაწყობად, წევრი სახელმწიფოებისთვის სპეციალური გზამკვლევი შეიმუშავა.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს განსახილველი საკითხის მნიშვნელობაზე, რადგან ბავშვები, რომლებიც მშობლების მზრუნველობას არიან მოკლებულნი და მათთან ერთად არ ცხოვრობენ ოჯახებში, იმთავითვე განიცდიან მაღალ ემოციურ სტრესს და რისკის ქვეშ იმყოფებიან. ასევე, სავარაუდოა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ბავშვზე ზრუნვის სისტემა კვლავ განვითარების ეტაპზეა, ეს რისკები კიდევ უფრო მაღალია. შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მუდმივ მეთვალყურეობას ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მხრიდან, რათა ბავშვის უფლებათა კონვენციით განსაზღვრული უფლებები გარანტირებულად იყოს დაცული, მინიმუმ იმგვარად, როგორც ეს იქნებოდა მათი ოჯახებში, კეთილსაიმედო გარემოში ცხოვრების პირობებში. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა უფლებები, რომლებიც მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებას, მათ უსაფრთხოებას, თავისუფლებასა და ღირსების პატივისცემას უკავშირდება.

წინამდებარე კვლევის ჩატარების მიზეზიც, სწორედ, თემის სენსიტიურობასა და იმ რისკებს უკავშირდება, რაც, შესაძლოა, ბავშვების ოჯახებიდან განცალკევებას და ალტერნატიულ ზრუნვაში ყოფნას ახლდეს.

[3] აღსანიშნავია, რომ რეზიდენტული ზრუნვა უნდა გამოიყენებოდეს შეძლებისდაგვარად უმოკლესი ვადით და უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მინდობით აღზრდაში განთავსება ან შვილად აყვანა შეუძლებელია.

მართლმსაჯულებაზე წვდომის ბარიერები

ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას, მათ წინაშე არსებული უამრავი ბარიერის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით ქვეყანაში არსებულ არაერთ გამოწვევაზე, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში. ამას ადასტურებს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევებიც.

ბავშვები, იმისათვის, რათა მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, გაერკვნენ და გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსა თუ მართლმსაჯულების სხვა მექანიზმებზე, მთლიანად უფროსებზე არიან დამოკიდებულნი. სამწუხაროდ, ბავშვზე მორგებული პროცედურები სრულყოფილად მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება. მწირია ან თითქმის არ არსებობს მექანიზმები და რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და მათი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას.[4] როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით, არასრულწლოვნებს შორის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს, სწორედ, სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვები ქმნიან, მათ შორის, ოჯახისგან განცალკევების, ისედაც ტრავმული საფუძვლებისა და გამოცდილების გამო.

ბავშვების წვდომას მართლმსაჯულებაზე, ხშირად, აბრკოლებს ისეთი პროცედურული ბარიერები, როგორიცაა ფინანსები და გეოგრაფიული მისაწვდომობა დაცვის სისტემებზე, ასევე, კომუნიკაციის სირთულეები. ბავშვებს არ შეუძლიათ აანაზღაურონ ადვოკატის მომსახურების საფასური, ან დაფარონ მგზავრობის ხარჯები, ხოლო კომუნიკაციის ის ფორმა, რასაც ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები იყენებენ, ხშირად არ არის ბავშვებზე მორგებული, გასაგები და მარტივი.

საგულისხმოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის კომპლექსურობა განსაკუთრებით ართულებს ბავშვის აღქმებს სისტემის შესახებ. არასრულწლოვნები ხშირად არ ფლობენ ინფორმაციას მათივე უფლებებისა და არსებული მხარდამჭერი სისტემების შესახებ. არ აქვთ ინფორმაცია, სად შეუძლიათ მივიდნენ ან დარეკონ სამართლებრივი კონსულტაციისთვის და ასევე, ითხოვონ სამართლებრივი დახმარება.[5] იურიდიული პროცედურები ხშირად არ არის ბავშვზე, მის ასაკზე, ეთნიკურ, რელიგიურ თუ სხვა მახასიათებელზე, იდენტობაზე ორიენტირებული, რაც ხშირად დისკრიმინაციულ შედეგებს იწვევს არასრულწლოვანთათვის. აქ, მათ შორის, მოიაზრება სპე-

[4] გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა „ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში" (2015).

[5] Joint report of the Special Representative of the Secretary-General on Violence against Children and the Special Rapporteur on the Sale of Children, Child Prostitution and Child Pornography, Safe and child-sensitive counselling, complaint and reporting mechanisms to address violence against children, 2012, p. 6.

ციალიზებული პროფესიონალების ნაკლებობა, მათი უწყვეტი და სრულყოფილი განათლების პროგრამები და სხვ.[6]

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მართლმსაჯულების სისტემა ხშირად აშინებს ბავშვებს. მათ ეშინიათ საჩივრით/განცხადებით მიმართვის, რადგან ფიქრობენ, რომ ამის გამო დააშინებენ, შეავიწროებენ, დამატებით დაექვემდებარებიან სტიგმატიზებას, მიატოვებენ ან დაემუქრებიან მათ და მათ ოჯახებს. ასევე, მათი ნდობა პასუხისმგებელი პირების, უწყებებისა თუ ორგანიზაციების მიმართ, დაბალია. მიიჩნევენ, რომ მათ არ აღიქვამენ სერიოზულად, არ დაუჯერებენ, არ მოუსმენენ.[7] საგულისხმოა, რომ ხშირად, არასრულწლოვნებს უფლებების დასაცავად ზრდასრულების დახმარება სჭირდებათ, მაგრამ ისინი, შესაძლოა, თავადაც არ ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვთა უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების მართლმსაჯულებაზე წვდომის პრობლემა. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვები იმყოფებიან მრავალმხრივი სტიგმისა და დისკრიმინაციული მოპყრობის რისკის წინაშე, მათ შორის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, სოციალური სტატუსის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით.[8] შესაბამისად, სისტემა, რომელიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთათვის მისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ოჯახებს მიღმა მცხოვრები ბავშვების მხარდაჭერასა და გაძლიერებას.

მეთოდოლოგია

სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრებ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე წვდომის კვლევა ჩატარდა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და ბავშვის უფლებათა კოდექსით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

კვლევის მიზანი იყო სახელმწიფო ზრუნვაში, კერძოდ, რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების, მათზე მზრუნველი პირებისა თუ მათთან შემხებლობაში მყოფი პროფესიონალების ინფორმირებულობის შეფასება ბავშვთა უფლებების თაობაზე.

[6] Human Rights Council, General Assembly, 16 December 2013. Access to justice for children, Report of the United Nations High Commissioner for Human Rights p. 7. para. 14.

[7] იქვე. გვ. 7. პარა. 15.

[8] იქვე. გვ. 8. პარა. 17.

კვლევის დიზაინად განისაზღვრა სამაგიდო და თვისებრივი კვლევის მეთოდი. მომზადდა სპეციალური კითხვარები. ბავშვებთან, სპეციალისტებთან, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრებები.

სამაგიდო კვლევა მოიცავს საკანონმდებლო რეგულაციების, უწყებებიდან[9] გამოთხოვილი და ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის, აგრეთვე, საკვლევ თემაზე მომზადებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანალიტიკური დოკუმენტების ანალიზს.

გასაუბრებების მიზანი იყო ბავშვთა უფლებების, მათი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის შეფასება ბავშვებში და მათთან მომუშავე პროფესიონალებში. კითხვარი მოიცავს ცოდნის გადამოწმების ელემენტებს კონკრეტული მაგალითებით. მათ შორის, ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რამდენად თანაბარია ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა ბაშვებს შორის და ასევე, რამდენად ერთნაირად არიან აღმზრდელები ინფორმირებულები ბავშვთა უფლებებისა და დაცვის გარანტიების შესახებ.

შეხვედრების, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბავშვთა მონაწილეობის ეთიკურ ასპექტებზე, როგორიცაა: ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები, ინფორმირებული თანხმობის მიღება, კონფიდენციალობა, ნებაყოფლობითობა, უსაფრთხოება და რისკების მიმართ მგრძნობელობა, ანგარიშვალდებულება თუ სხვ.

საველე სამუშაოები რამდენიმე ეტაპად დაიყო. პირველ ეტაპზე, წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე, სახალხო დამცველის წარმომადგენლები სხვადასხვა დაწესებულებაში, უპირატესად კი, რეზიდენტულ დაწესებულებებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებს შეხვდნენ, რათა უპირველეს ყოვლისა, მათგან მიეღოთ ინფორმაცია. კვლევის მომდევნო ეტაპზე, გასაუბრება შედგა დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებთან – აღმზრდელებთან, ლიდერებთან, მენეჯერებთან. ამის შემდგომ, დამატებით, გამოვითხოვეთ ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, რისი აუცილებლობაც განსაზღვრა როგორც კვლევის ჩარჩომ, აგრეთვე, ბავშვებისგან და რეზიდენტულ დაწესებულებაში მომუშავე პროფესიონალებისგან მიღებულმა ინფორმაციამ.

[9] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გაგზავნილი კორესპონდენცია: №10/8517, 25/08/2023; მიღებული პასუხი: №1000318 4 23 00983468, 18/09/23; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი კორესპონდენცია: №10/8516, 25/08/2023; მიღებული პასუხი: MIA 1 23 02546842, 01/09/2023; MIA 5 23 02629646, 08/09/2023; სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში გაგზავნილი კორესპონდენცია: №10/8515 25/08/2023; მიღებული პასუხი: MES 5 23 0001060828, 01/09/2023; საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში გაგზავნილი კორესპონდენცია: №10/8517, 25/08/2023; მიღებული პასუხი: 16/10074, 31 /08/ 2023.

ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრებები, ამავე დროს, ჩატარდა ბავშვებთან მომუშავე შემდეგ პროფესიონალებთან:[10] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. გასაუბრება ასევე გაიმართა სერვისის მიმწოდებელი ხუთი ორგანიზაციის წარმომადგენელთან/გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

2023 წლის აგვისტოს მონაცემებით,[11] მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსებული იყო 218 ბავშვი, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურებაში – 28 ბავშვი, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებაში – 10, თბილისის ბავშვთა სახლში – 34, ხოლო ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის – ფოთის ბავშვთა ცენტრში" – 7 ბავშვი. ამასთანავე, 2023 წელს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით მოქმედ დღის ცენტრებსა და თავშესაფრებში ჩაირიცხა 45 ბენეფიციარი, ხოლო ჯამში 2023 წელს ქვეპროგრამით 240-მა ბავშვმა ისარგებლა.

კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ვიზიტი განხორციელდა სულ 38 ბავშვთა სამზრუნველო და საალმზრდელო დაწესებულებაში, მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში (30), მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრებში (3), თავშესაფრებში (2) და ბავშვთა დიდი ზომის 3 რეზიდენტულ დაწესებულებაში (მათგან ორი – არალიცენზირებული). პირისპირ გასაუბრება გაიმართა 74 ბავშვთან (მათგან 41 იყო გოგო, ხოლო 33 ბიჭი). ასევე, ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა დაწესებულებებში დასაქმებულ 43 პირთან (აღმზრდელი, დიასახლისი, ლიდერი და კოორდინატორი).

მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი ელემენტების მიხედვით:

[10] გასაუბრება ძირითადად ჩატარდა იმ პროფესიონალებთან, რომლებიც მუშაობენ რეზიდენტულ დაწესებულებაში მცხოვრებ ბავშვებთან ან იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ეს დაწესებულებებია და რომლებშიც განხორციელდა ვიზიტები მონიტორინგის ფარგლებში. გასაუბრების მიზანი იყო სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების წინაშე, პრაქტიკაში არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების გამოვლენა.

[11] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 4 23 00983468, 18/09/2023.

- ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება
- ბავშვის მონაწილეობა პროცესებში
- დისკრიმინაციისგან ბავშვის დაცვის სამართლებრივი გარანტიები
- ბავშვთა ინფორმირებულობა მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების[12] შესახებ
- ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა
- ბავშვთან მომუშავე პროფესიონალთა სპეციალიზაცია და სხვ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია თანაბრად იქნა მოპოვებული ბავშვებისგან და პროფესიონალებისგან. კვლევა იძლევა მათი ინფორმირებულობის ხარისხის ერთგვარი შედარების საშუალებას.

ინფორმაციის დამუშავების შემდგომ, მომზადდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის უფლების რეალიზებას.

ძირითადი მიგნებები

ბავშვები

- ბავშვების უმეტესობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ,[13] არ სმენია ან ვერ ასახელებს იმ დოკუმენტებს, სადაც მათ შესახებ წერია და ხშირად, უფლებებს მხოლოდ მოვალეობების კონტექსტში განიხილავს;
- განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ერთეული გამონაკლისების გარდა, ბავშვებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია დაცვის მექანიზმების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საუბრობენ ძალადობრივ გამოცდილებაზე ოჯახში, ქუჩაში, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში, როგორც ბავშვების, ისე სრულწლოვანი პირების მხრიდან;
- ბავშვების უმრავლესობის გადმოცემით, უფლების დასაცავად სოციალურ მუშაკს, პოლიციას ან სახალხო დამცველს მიმართავდა. თუმცა, ცხელი ხაზებიდან ერთეული გამონაკლისის გარდა, მხოლოდ, „112“ ახსენდებათ. ხოლო, არასამთავრობო ორგანიზაციების, იურიდიული დახმარების სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის შესახებ საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია;

[12] მათ შორის, იურიდიული დახმარება, ადვოკატის უფლება, გასაჩივრების უფლება.

[13] მათ შორის, მათთან დაკავშირებულ პროცესებში, გადაწყვეტილების მიღებისას, არსებითი ჩართულობისა და თავიანთი მონაწილეობის უფლების კუთხით. აღსანიშნავია, რომ უფროსები ბავშვებს არ უსმენენ და არ ითვალისწინებენ მათ აზრს.

- ბავშვების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში დამოუკიდებლად მიმართვის უფლების შესახებ. ხოლო, უფლების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებზე არც სმენიათ;
- არასრულწლოვანთა ნაწილი პოლიციელებთან ურთიერთობის გამოცდილებაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს ბავშვებისადმი დამოკიდებულებისა და მათთან კომუნიკაციის გამოწვევებზე.[14] ხოლო სასამართლოსთან ურთიერთობის გამოცდილებას დადებითად იხსენებენ.

აღმზრდელები

- აღმზრდელებს ზედაპირული ცოდნა აქვთ ბავშვთა უფლებების შესახებ, ამასთანავე, მათში ძლიერია დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, წინასწარგანწყობები, მათ შორის, აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბავშვებმა მხოლოდ უფლებები იციან, და ნაკლებად – მოვალეობები;
- აღმზრდელების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის პროცედურების შესახებ;
- აღმზრდელებს მიაჩნიათ, რომ ბავშვები დამოუკიდებლად ვერ მიმართავენ სასამართლოს. აქვე, მათ ნაწილს სმენია, რომ შესაძლებელია, ბავშვმა თავისი უფლებების დასაცავად ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ მექანიზმს მიმართოს, თუმცა ამის შესახებ არ ფლობენ სხვა დამატებით ინფორმაციას;
- აღმზრდელებს არ აქვთ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ;
- აღმზრდელებისგან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ბავშვების აზრს ითვალისწინებენ, ძირითადად, საყოფაცხოვრებო საკითხებში, როგორიცაა, მაგალითად, კვება;
- აღმზრდელების უმეტესობის გადმოცემით, პოლიციასთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილება აქვთ.

[14] ბავშვები 16 შემთხვევაში მიუთითებდნენ კონკრეტულ გარემოებებზე და საუბრობდნენ პოლიციასთან კომუნიკაციის ნეგატიურ გამოცდილებაზე.

ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტები და სერვისის მიმწოდებლები

- უკლებლივ ყველა უწყებისა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს რესურსების სიმწირეზე. იგულისხმება ადამიანური და ფინანსური რესურსები, დამატებითი ეფექტიანი სერვისები, მათ შორის, ზოგადად, ბავშვთა დაცვის სფეროში, თუ სპეციფიკურად, ფსიქიკური ჯანმრთელობის, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით,[15] ასევე, პროფესიონალთა უწყვეტი გადამზადების კუთხით არსებულ საჭიროებებზე;
- სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრებ ბავშვებთან მიმართებით იკვეთება უწყებათაშორისი კოორდინაციისა და მოქნილი კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროება;
- სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილის გადმოცემით, ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებზე რეაგირება არაეფექტიანია, ხოლო პოლიციელთა მხრიდან ბავშვზე მორგებული მიდგომების გამოყენების კუთხით გამოწვევები იკვეთება. თავის მხრივ, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა ინფორმაციით, მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სხვადასხვა დამხმარე სპეციალისტის ნაკლებობა და სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების უკიდურესი მიუწვდომლობა;
- ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს შორის იკვეთება პატივისცემის ნაკლებობა ბავშვთა უფლებების მიმართ, პრობლემები ბავშვზე მორგებული მიდგომების გამოყენების კუთხით. ისინი ხშირად მორალურად კიცხავენ ბავშვებს;
- ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგებს არ აქვთ ინფორმაცია ბავშვის დაცვის გარანტიების საბაზო წესებსა და რეგულაციებზე, ხოლო სოციალური მუშაკების უმეტესობას არ აქვს სწორი ინფორმაცია ბავშვთა უფლებების სფეროში საკანონმდებლო სიახლეების შესახებ;[16]
- სამართალდამცავი უწყების მხრიდან გადადგმული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, გამოვლინდა ბავშვზე მორგებული მიდგომების შესახებ უწყების წარმომადგენელთა დამატებითი გადამზადების საჭიროება, პრაქტიკაში ბავშვზე მორგებული მიდგომის გამოყენებისა და შესაბამისი უნარების არსებითად გაუმჯობესების მიზნით;
- საჯარო სკოლებში კვლავ მწვავეა სტიგმა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მიმართ.

[15] სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებში დანაშაულებრივი ქცევის მატებაზე. აგრეთვე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების საჭიროებასა და მის უკიდურეს სიმწირეზე.

[16] მათ შორის, სოციალური მუშაკების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, რომ ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს, ჰყავდეს ადვოკატი და სხვ. ეს საკითხი ეხმიანება სოციალური მუშაკებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, უმეტესობას ბოლო წლების განმავლობაში პროფესიული გადამზადება არ გაუვლია.

1. საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიმოხილვა

1.1. მისაწვდომი მართლმსაჯულება – საერთაშორისო სტანდარტი

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ფუნდამენტური უფლება და აუცილებელი წინაპირობაა ადამიანის უფლებების დაცვისა და განვითარებისთვის.[17] ბავშვის უფლებათა კონვენციის[18] და ყველა სხვა საერთაშორისო დოკუმენტის შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე წვდომა ბავშვებისთვის მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა – *უფლებების დაცვის გასაგები, სამართლიანი და დროული პროცესი.*

ბავშვთა მართლმსაჯულების უფლების კონცეფცია მოითხოვს ყველა ბავშვის უფლებრივ გაძლიერებას. მათ უნდა იცოდნენ და შეეძლოთ ინფორმაციის მოპოვება უფლებების დაცვის ყველა საშუალების შესახებ. ეს ასევე გულისხმობს ინფორმაციას შესაბამის კანონმდებლობაზე, სერვისებსა და მომსახურებებზე, ბავშვთა უფლებების შესახებ ტრენინგებსა და იურიდიულ რჩევებზე, რადგან ბავშვებს ასევე უნდა შეეძლოთ სამართლებრივ თემებზე სრულწლოვანი პირებისგან მხარდაჭერის მიღება.[19]

ევროპის საბჭოს განმარტების შესაბამისად, ბავშვზე ორიენტირებული/მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს ისეთ სისტემას, რომელშიც გარანტირებული და დაცულია ყველა ბავშვის ყველა უფლება და რომელშიც ბავშვის აზრს სათანადო მნიშვნელობა ენიჭება. ამაში მოიაზრება მართლმსაჯულება, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკის შესაფერისი, სწრაფი, გულდასმითი, მორგებული ბავშვის საჭიროებებზე, რომელიც პატივს სცემს ბავშვის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სამართლიანი პროცესის უფლებას, პროცესებში მონაწილეობის და ინფორმაციის სრულყოფილად მიღების უფლებას, ასევე, უფლებას, პატივი სცენ ბავშვის პირად, ოჯახურ ცხოვრებას და მის ღირსებას.[20]

---

[17] General Assembly resolution 67/1, paras, 14 and 17.

[18] UN Approach to Justice for Children, p. 4.

[19] იქვე. გვ. 4.

[20] Guidelines of the Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-Friendly Justice, article II.a; for the purpose of this report, child-friendly and child-sensitive are considered as synonymous.

სახელმწიფოებს ევალებათ, ეროვნული კანონმდებლობა სრულად მიუსადაგონ საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს. ამისათვის კი, უნდა შეცვალონ არაეფექტიანი კანონმდებლობა, მიიღონ ახალი რეგულაციები, გამოყონ სათანადო რესურსები, გამართონ განათლების და გადამზადების სისტემები, მიმართონ ყველა საჭირო სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რათა უზრუნველყონ ბავშვებისთვის სამართლიანი, ეფექტიანი და სწრაფი წვდომა უფლებების დაცვის საშუალებებზე.[21]

1.1.2. სახელმწიფო ზრუნვა – საერთაშორისო სტანდარტი

როგორც შესავალშივე აღინიშნა, გაერომ შეიმუშავა გზამკვლევი,[22] რომელიც ეხება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის გარანტიებს. განსაკუთრებით საგულისხმოა სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვებზე მზრუნველ პირთა ვალდებულებები,[23] კერძოდ:

- პირი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას, უნდა იყოს ბავშვთა უფლებებზე გადამზადებული, ჰქონდეს შესაბამისი უნარები და მოქმედებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით;
- ყველა დაწესებულებას, სადაც ბავშვი ცხოვრობს, უნდა ჰქონდეს ცხადი და გაწერილი რეგულაციები, მათ შორის, თანამშრომლების მხრიდან სათანადო ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, შეტყობინების ვალდებულების შესახებ;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული ბავშვის პირადი საქმე და მისი კონფიდენციალობა;
- სახელმწიფო მკაცრად უნდა არეგულირებდეს ბავშვთან მომუშავე პირების შერჩევას;
- გადამზადება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის, პროფესიონალებმა უნდა იცოდნენ რთული ქცევისა და კონფლიქტების მართვა, ბავშვებზე ზრუნვა, მათი სპეციფიკური საჭიროების გათვალიწინებით და სხვ.

გზამკვლევი, ასევე განსაზღვრავს სპეციალურ ვალდებულებებს რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებისთვის, მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისთვის:[24]

[21] Article 2 of the International Covenant on Civil and Political Rights and article 4 of the Convention on the Rights of the Child; see also: Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law, article I. 2. b.

[22] Guideline for alternative care, UN General Assembly resolution 64, 2010.

[23] იქვე, გვ. 16-17.

[24] იქვე, გვ. 18.

- რეზიდენტული ზრუნვა უნდა იყოს დროებითი და სრულად ორიენტირებული ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე;
- აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში, ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ ალტერნატიულ ზრუნვას, განცალკევებულნი უნდა იყვნენ დევიაციური ქცევისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისგან; ბავშვებზე უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალური ზრუნვა, რათა მათ ჯანსაღი კავშირი ჰქონდეთ მზრუნველ პირთან;
- გარანტირებული უნდა იყოს ბავშვისთვის შესაძლებლობა, სრული წვდომა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის სისტემებზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი აზრი და მონაწილეობა;
- ბავშვს კავშირი უნდა ჰქონდეს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც საჭირო სერვისს მიაწვდის;
- ბავშვს მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს ოჯახთან და სხვ.

იმისათვის, რათა ზემოაღნიშნული უფლებები გარანტირებული იყოს ბავშვებისთვის, სახელმწიფოში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა სათანადო სერვისი, რესურსი და უნარები, რაზეც, თავის მხრივ, წვდომა უნდა ჰქონდეთ ზრუნვის განმახორციელებელ ორგანიზაციებს.[25]

1.2. ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტი

ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენცია[26] და მასთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ოქმი, ქვეყანაში ყველასთვის სავალდებულოდ გამოსაყენებელი დოკუმენტებია. საქართველო კონვენციის უკანასკნელ, მესამე დამატებით ოქმს, რომელმაც ბავშვის უფლებების დაცვის კიდევ ერთი საერთაშორისო მექანიზმი შექმნა არასრულწლოვანთათვის, 2016 წელს შეუერთდა.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არსებითად შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციით გარანტირებულ მოთხოვნებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც, 2019 წელს, საქართველოს პარლამენტმა ახალი საკანონდებლო აქტი – „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიიღო.

კოდექსი, შინაარსობრივად, განსაკუთრებით საგულისხმოა ბავშვის მართლმსაჯულების უფლების განხორციელების გარანტიებთან მიმართებით. მისი ძირითადი შინაარსი არსებითად უკავშირდება მართლმსაჯულების უფლების განხორციელების ახლებურ ხედვას.

[25] იქვე, გვ. 19

[26] რატიფიცირებულია 1994 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ.

ბავშვის უფლებათა კოდექსმა გააუქმა სასამართლოში სარჩელის წარდგენის ასაკობრივი ცენზი, რომელიც ბავშვს 14 წლის ასაკამდე არ აძლევდა უფლებას მიემართა სასამართლოსთვის. დღეს, ყველა ბავშვს (ასაკის მიუხედავად) აქვს უფლება მიმართოს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით.

„ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი. ბავშვს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან/და ოფიციალურ დოკუმენტს“.[27]

განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვების ფუნდამენტური უფლებების დაცვა და მართლმსაჯულებაზე დაუბრკოლებელი წვდომის გარანტიები.

„ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებული ყველა ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ერთიან სახელმწიფო სისტემებში. მას ისევე უნდა მიუწვდებოდეს ხელი მართლმსაჯულებაზე, როგორც სხვა ბავშვებს“.[28]

ბავშვის უფლებათა კოდექსით გარანტირებულია ბავშვების და მათი მშობლების/აღმზრდელების უფლება უფასო იურიდიულ დახმარებაზე.

„ბავშვს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით მიიღოს თანამიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან/და იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით, სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვისთვის ან/და მშობლისთვის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარების გაწევას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე“.[29]

კოდექსმა შექმნა საკანონმდებლო ვალდებულება ბავშვთა უფლებებზე სპეციალიზებული ცოდნის შესახებ. *„ბავშვთან მომუშავე პირმა (პროფესიონალმა) უნდა გაიაროს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საჭიროებებისა და*

[27] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 13.

[28] იქვე, მუხლი 29.

[29] იქვე, მუხლი 79.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე. ამასთანავე, ბავშვთან მომუშავე პირი (პროფესიონალი) უნდა გადამზადდეს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვთან, განსაკუთრებით – სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვთან, კომუნიკაციის მეთოდებთან დაკავშირებით. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული კანონით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად".[30]

დაწესდა ბავშვის მოსმენის და აზრის გათვალისწინების ვალდებულება. ამასთანავე, გარანტია იმისა, რომ მისთვის მისაწვდომი იყოს ინფორმაცია, რომელიც სჭირდება აზრის ჩამოსაყალიბებლად და პროცესებში მონაწილეობის მისაღებად.

„ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ბავშვს ასევე უფლება აქვს, მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი ასაკისა და გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებითა და ფორმით. ბავშვს აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება".[31]

ბავშვისთვის გარანტირებული უნდა იყოს დაცვის ეფექტიანი საშუალების არსებობა ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში.

„სახელმწიფოს მიერ ალტერნატიული ზრუნვისთვის დადგენილი სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს, მათ შორის, იმ ეფექტიანი მექანიზმის ხელმისაწვდომობას, რომლითაც ბავშვი შეძლებს ალტერნატიული ზრუნვის პირობების ან მისდამი მოპყრობის შესახებ შეტყობინებას ან საჩივრის წარდგენას. ეს მექანიზმი ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებლისა და ზედამხედველი სახელმწიფო უწყებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რათა მიუკერძოებლად შეძლოს ეფექტიანი რეაგირება და ბავშვის ინტერესების დაცვა".[32]

ბავშვთა მართლმსაჯულების უფლების კონტექსტში, ზემოაღნიშნული ცვლილებები ფუნდამენტურია და ქმნის საკანონმდებლო გარანტიებს ეფექტიანი მართლმსაჯულებისთვის.

თუმცა საკანონმდებლო გარანტიების ეფექტიანობის განსაზღვრისთვის, აუცილებელია შეფასდეს, აქვთ თუ არა ბავშვებს და მათთან მომუშავე პროფესიონალებს სათანადო ცოდნა ამ გარანტიების შესახებ და შეუძლიათ თუ არა მათი პრატიკაში გამოყენება. სწორედ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება წინამდებარე კვლევის პრაქტიკული ნაწილი.

[30] იქვე, მუხლი 73.

[31] იქვე, მუხლი 14.

[32] იქვე, მუხლი 30.

2. პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა

კვლევის ფარგლებში, პირისპირ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრებ ბავშვებთან და მათ აღმზრდელებთან. კითხვარი სამ ნაწილად იყოფა. თითოეული ნაწილი იკვლევს მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების ელემენტებს და მათ შესახებ ბავშვების და აღმზრდელების ცოდნა-წარმოდგენებს.

წინამდებარე თავში განზოგადებული სახით წარმოგიდგენთ ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

2.1. ცოდნა უფლებების შესახებ

2.1.1. ბავშვები

ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვების უმეტესობას არ აქვს ადეკვატური, სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ. რესპონდენტი ბავშვების 29.73% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის უფლებების შესახებ, ხოლო 70.27% ფლობს მხოლოდ მწირ ინფორმაციას. საყურადღებოა, რომ უფლებებზე საუბრისას, ბავშვები ხშირად მოვალეობების შინაარსის წინადადებებს წარმოთქვამენ. მაგალითად, ჩემი უფლებაა: *„ჭკვიანად მოქცევა, განათლება, ყველაფრის მიღწევა და მიზნების ქონა“. „ვისწავლო, აღმზრდელს დავუჯერო, წესიერად მოვიქცე“.*

ასევე აღსანიშნავია, რომ ბავშვების უმეტესობა უფლებებზე საუბრის დროს ძირითადად უსაფრთხოების უფლებებს ასახელებს. მაგალითად, ძალადობისგან დაცვას, ბულინგისგან დაცვას, დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვას და სხვ. ერთ-ერთი ბავშვი, კითხვაზე, *„რა არის შენი უფლება“*, პასუხობს – *„ჩემი უფლებაა წყნარად და უსაფრთხოდ ვიყო სახლში და არა იმის შიშით, რომ ვიღაც დანას დამარტყამს“.*

ამასთანავე, იკვეთება, რომ რიგ შემთხვევებში, ბავშვების ცოდნა უფლებების შესახებ, უფრო მათი პირადი გამოცდილებით მიღებულ აღქმებს ეფუძნება და არა მიწოდებულ ინფორმაციას ან გაზიარებულ ცოდნას, რადგან, მეტწილად, უფლებების დარღვევის ნაწილში, რესპონდენტებს მაგალითად მოჰყავთ თანატოლებისა, თუ რიგ შემთხვევებში, უფროსების მხრიდან გამოვლენილი, მათთვის დისკომფორტის შემქმნელი დამოკიდებულებები. ბავშვებს არ აქვთ აღქმა, რომ ასეთ შემთხვევებში, მათი დაცვის ვალდებულება უფროსებს ეკისრებათ.

უფლებებზე საუბრისას, ბავშვები, აქცენტს აკეთებენ უფროსებისთვის სასურველ ქცევაზე და ამ ჭრილშიც, ბავშვების მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ყურადღება მახვილდება ბავშვის ვალდებულებებზე, მაგალითად, ერთ-ერთი ბავშვის აზრით, ბავშვის უფლების დარღვევაა, ბავშმა *„აღმზრდელს რომ არ დაუჯეროს, ცუდად მოიქცეს, რაღაც დაანგრიოს, სკოლაში არ წავიდეს“.* ეს მაგალითი მიგვანიშნებს, რომ ბავშვებს დამახინჯებულად, უფროსი ადამიანის და არა ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ.

ბავშვების უმეტესობას ფრაგმენტული ცოდნა აქვს უფლებების შესახებ, ინფორმაციის მიღების წყაროდ კი, ძირითადად სკოლა სახელდება. ერთეულ შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე მცირე საოჯახო სახლს აქვს ბავშვთა უფლებების კონვენცია მისაწვდომ ადგილას განთავსებული.

დასმულ შეკითხვაზე, ახსენდებათ თუ არა რომელიმე სამართლებრივი დოკუმენტი, კანონი, რომელიც ბავშვთა უფლებებს არეგულირებს, გამონაკლის შემთხვევებში, რამდენიმე ბავშვი ასახელებს უფლებების კონვენციას, თუმცა ზოგადად, ბავშვები ნაკლებად საუბრობენ კანონით ან რაიმე კონვენციით გამყარებულ უფლებებზე, არ ახსენებენ სიტყვებს – კანონით, კონვენციის მიხედვით, ბავშვთა კოდექსით და ა. შ. მათ სამეტყველო ენაში ამ ცნებების არარსებობა, ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ისინი მოკლებულები არიან ბავშვის უფლებების შესახებ ცოდნას.

გამოიკვეთა ისეთი დაწესებულებებიც, სადაც საერთოდ არ არსებობს რაიმე ცოდნა ბავშვთა უფლებების, ბავშვთა დაცვის პროცედურების, ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის შესახებ. ერთ-ერთ არალიცენზირებულ პანსიონში, სადაც 15 მოზარდი ცხოვრობს, იმ ბავშვების გადმოცემით, რომლებთანაც გასაუბრება შედგა, მათთან ამ საკითხებზე არავის უსაუბრია, არ იციან, თუ ვის შეუძლიათ მიმართონ უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ბავშვების მონათხრობის მიხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ამ საკითხს არ მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. ბავშვები ინფორმაციას ფლობენ მხოლოდ ცხელი ხაზი „112“-ის თაობაზე, რის შესახებაც სკოლიდან შეიტყვეს.

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების გადმოცემით, მათთან, საოჯახო ტიპის სახლებში, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები არ ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს. ამასთანავე, ის, რომ ბავშვების ინფორმირება ბავშვის უფლებების საკითხებზე დეფიციტურია, იკვეთება იქიდანაც, რომ გამოკითხული აღსაზრდელების უმრავლესობა საერთოდ ან არასრულყოფილად იცნობს საკუთარ ინდივიდუალურ გეგმას და არც იმის შესახებ იცის, რომ მათი უფლებაა, ესა თუ ის მიზანი ან აქტივობა, რომელიც მათ ეხება, მათთან შეთანხმებით დაიგეგმოს.[33]

გამოკითხული ბავშვების თანახმად, კარგი იქნებოდა, თუკი უფროსები მათ აზრს მოისმენდნენ და შემდეგ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას. ბავშვს იმიტომ უნდა მოუსმინონ, რომ *„შეიძლება ბავშვს*

[33] მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელები მათთან ინტერვიუს დროს ამბობენ, რომ ინდივიდუალურ გეგმებს ბავშვებთან ათანხმებენ, ბავშვების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ეს არ შეესაბამება რეალობას, რაც დამატებით იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ინდივიდუალური გეგმების შედგენა და განხორციელება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

არ მოწონს ისეთი რამე, რაც უფროსს უნდა".[34] ბავშვების თქმით, უფროსებმა უნდა გაითვალისწინონ მათი აზრი, თუმცა მათი ნაწილი იმასაც ამბობს, რომ სახლებში მათ აზრს, ძირითადად, საკვების შერჩევასთან დაკავშირებით ითვალისწინებენ. ერთ-ერთი ბავშვის თქმით, *„სახლში საერთო საჭმელი კეთდება ყველასთვის და ყველა ბავშვი მას ჭამს, არჩევანის საშუალება არ არის – თუ არ მოგწონს, მაინც ის უნდა ჭამო, თორემ მშიერი დარჩები. სახლში კვების საათები გაწერილია, ზუსტად იმ დროს უნდა ჭამო, თუ სხვა დროს მოგშივდა, თვითონ ვერ მიხვალ საჭმლის/ხილის ან სხვა რამის ასაღებად, სამზარეულოს გასაღები, სადაც საჭმელია, აღმზრდელს აქვს და არ გააღებს. მაგრამ დღისით თუ მოგშივდა, აღმზრდელს ეტყვი და ის გაჭმევს".* ერთმა დაამატა, რომ სახლში სტუმრობის საათების ცვლილება ბავშვებმა გააპროტესტეს და ამ პროტესტის შედეგად საათები ძველ რეგულაციას დაუბრუნდა.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ არღვევს ძირითადად ბავშვების უფლებებს, ბავშვები ფიქრობენ, რომ *„ყველაზე მეტად ბავშვის უფლებებს არღვევენ უფროსი ადამიანები, მათ ჰგონიათ, რომ რადგან უფროსები არიან, ბავშვებზე მეტი უფლება აქვთ".* გამოკითხულთა 28.38% მიიჩნევს, რომ ბავშვების უფლებებს მშობლები არღვევენ, 10.81% აზრით – აღმზრდელები, 4.05%-ის აზრით – სოციალური მუშაკები, 2.7%-ის შეხედულებით კი, პოლიცია. ხოლო ბავშვების 6.76% მიიჩნევს, რომ ბავშვის უფლებებს, ზოგადად, უფროსები არღვევენ. ასევე, რესპონდენტთა 10.81% მიიჩნევს, რომ მათ უფლებებს, ხშირად, სხვა ბავშვები არღვევენ.

2.1.2. აღმზრდელები

საინტერესოა, რომ ბავშვებისგან განსხვავებით, აღმზრდელებს მიაჩნიათ, რომ ბავშვების უფლებები ზედმიწევნით არის დაცული და არასრულწლოვნებმა ყველაზე კარგად იციან თავიანთი უფლებების შესახებ. საყურადღებოა მათი საყვედურნარევი სიტყვები, რომ ბავშვებმა არ იციან მოვალეობები, მათ მხოლოდ უფლებებს ასწავლიან.

ასევე, გამოვლინდა შემდეგი დამოკიდებულება ბავშვების მიმართ, *„ბავშვებმა მოვალეობებიც იციან, მარა უფლებებს მათ სასარგებლოდ ირგებენ"; „ბავშვისთვის ვალდებულებები უნდა დაწესდეს. მაგალითად, როცა ბავშვს ეუბნებიან, იმეცადინოს და უარს ამბობს, ამ დროს უნდა ჰქონდეთ ბავშვის დავალდებულების რაღაც მექანიზმები".*

დასმულ შეკითხვაზე, თუ რა ინფორმაციას ფლობენ ბავშვთა უფლებების შესახებ, თავად აღმზრდელებს ზედაპირული, არასრული და ზოგჯერ არასწორი ინფორმაცია აქვთ. ისინი ძირითადად

[34] 11 წლის ბიჭის ციტატა.

ასახელებენ განათლების, კვების, ჯანდაცვის უფლებებს. ერთ-ერთი აღმზრდელი აღნიშნავს, რომ ბავშვის უფლებების შესახებ მას ტრენინგებზე ესაუბრნენ. თუმცა იქვე დასძენს, – *„კანონი არის, მაგრამ ჩემთვის მორალური მიდგომა უფრო მნიშვნელოვანია“.*

უფლებებზე საუბრისას, აღმზრდელების მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულება გამოვლინდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ. ერთ-ერთი აღმზრდელი მიიჩნევს, რომ *„იმ ბავშვებთან ბევრ თემაზე შეიძლებოდა საუბარი და ამათთან ცოტა...“,* რითიც მიუთითებს ბავშვების შეზღუდულ შესაძლებლობაზე.

აღსანიშნავია ბავშვების პოზიტიური აღზრდის და კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიების პრობლემური მაგალითი ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში. აღმზრდელის თანახმად,

„შეიძლება, ბავშვებს უნდოდეთ კონკრეტულ ბავშვთან მეგობრობა, მაგრამ ის არ იყოს ისეთი, რომ მასთან იმეგობრონ. კერძოდ, ყავთ აზერბაიჯანელი „თათარი“ მეზობელი ბავშვი და „ცოტა უზრდელია“. ბავშვები მეგობრობენ და ცუდი გავლენა მოახდინა მათზე. ამიტომ, სახლში მცხოვრებ ბავშვს ცალკე ვესაუბრე, ვკითხე, ხომ არ მოსწონდა ამ ბავშვის [მეზობლის] ქცევები და ამიტომ არ უნდა ემეგობრა მასთან. უნდა ეთქვა მეზობელი ბავშვისთვის, რომ თუ ცუდად მოიქცეოდა, აღარ იმეგობრებდა მასთან. მერე თავადაც შევხვდი მეზობელ ბავშვს და ვუთხარი, რომ მასთან არ ქონდა პრობლემა, მის ქცევებთან ქონდა. ამიტომ არ უნდა ემეგობრა აღსაზრდელებთან. ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია, აღარ ბილწსიტყვაობს მეზობელი ბავშვი და ბავშვები მეგობრობენ“.

ერთ-ერთ აღმზრდელს მიაჩნია, რომ კარგია პანსიონების (დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების) დახურვა. თუმცა, ცუდი აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევის ბავშვებს არ აცხოვრებდა ამ ბავშვებთან ერთად. საუბრობდა ასევე, რუმინული წარმომავლობის ბოშა ბავშვებზე, რომლებსაც, ფიქრობს, რომ *„გენეტიკაში აქვთ ხმაური“.*

აღმზრდელებში ინფორმირების დონე განსხვავდება. გამონაკლის შემთხვევებში შეინიშნება, რომ მათ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ბავშვთა უფლებების საბაზო გარანტიების შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბავშვთა უფლებების არსის შესახებ უფრო მეტად იყვნენ ინფორმირებულები ის დაწესებულებები, სადაც ჩატარდა მიზნობრივი ტრენინგები ბავშვთა უფლებების საკითხზე და აღმზრდელები, გასაუბრებისას, მეტ ცოდნას და განსხვავებულ დამოკიდებულებებს ავლენდნენ. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც, ამ მხრივ, მხარდაჭერას უცხადებენ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებს.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავდნენ – არსებობს გარკვეული ბარიერები ბავშვის უფლებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით. ერთ-ერთ აღმზრდელს მოჰყავს ასეთი მა-

გალითი – *„ადრე უფრო ახერხებდა ორგანიზაცია ჩაეტარებინა ტრენინგები თანამშრომლებისთვის. ახლა, სახლში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელია“.*[35]

ერთ-ერთ არალიცენზირებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში, სადაც 22 მოზარდი ირიცხება, და რომელიც სამართლებრივი რეგულირების მიღმა ფუნქციონირებს, აღმზრდელების გადმოცემით, მათთვის რაიმე სახის ტრენინგი ამ საკითხზე, არასოდეს ჩაუტარებიათ. რესპონდენტებთან საუბრისას ირკვევა, რომ აქ მყოფ ბავშვებს არ აქვთ მათი უფლებების შეზღუდვის შემთხვევებზე პირდაპირი შეტყობინების რაიმე მექანიზმი, მხოლოდ აღმზრდელების, მასწავლებლების, ხელმძღვანელობის გავლით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება არალიცენზირებულია და სახელმწიფო რეგულირების მიღმა საქმიანობს, ბავშვთა უფლებების უგულებელყოფის კუთხით, ის ერთ-ერთი სარისკო გარემოდ შეიძლება განვიხილოთ.

ბავშვთა უფლებების საკითხზე ცოდნის დეფიციტი ვლინდება იმაშიც, რომ აღმზრდელებს სწორად არ აქვთ გააზრებული საკუთარი პროფესიული როლი და მიაჩნიათ, რომ ბავშვის უფლებების დარღვევებზე რეაგირება, მხოლოდ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ვალდებულებაა.

აღსანიშნავია, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ლიდერები, აღმზრდელებთან შედარებით, მეტ ინფორმაციას ფლობენ. მაგალითად, ერთ-ერთი სახლის ლიდერი ამბობს, რომ *„სკოლაში ბავშვს უფლება აქვს მიიღოს განათლება, ბულინგისგან იყოს დაცული. სსსმ მოსწავლეებისთვის უნდა შედგეს ინდ. გეგმა, მოხდეს მათი შეფასება და გეგმის გაწერა, სწავლების უზრუნველყოფა“. მისივე თქმით, ინდივიდუალურ გეგმაში გაწერილი ყველა ღონისძიება, შესაძლოა, ვერ შესრულდეს“.*

პოლიციაზე საუბრისას, ლიდერმა აღნიშნა, რომ არ აქვთ უფლება, ბავშვს მკაცრად ესაუბრონ, ზედმეტი უთხრან. პირადი ნივთების დათვალიერებისთვის ორდერი უნდა ჰქონდეთ. სასამართლოსთან დაკავშირებით ამავე ლიდერმა აღნიშნა, რომ ბავშვებმა უნდა მიიღონ ადვოკატის მომსახურება, პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ ფსიქოლოგი და კანონიერი წარმომადგენელი. მისივე თქმით, *„ბავშვმა სიტყვა არ უნდა თქვას ადვოკატის გარეშე“.* მისი განმარტებით, ეს ინფორმაცია აქვს, რადგან *„მთელი ქვეყანა ამაზე საუბრობს“.* ლიდერის თქმით, ბავშვების მოსმენისა და აზრის გათვალისწინება სავალდებულოა, მათ *„უნდა იგრძნონ, რომ საზოგადოების წევრები არიან“.*

ამავე ლიდერის აზრით, ბავშვს აქვს განათლების და ჯანდაცვის უფლება, გარემოში ადაპტირების შესაძლებლობა. ბავშვებს აქვთ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების და ჯანსაღი კვების უფლება. მათ შორის, სპეციალური კვებითი საჭიროებების ბავშვს უფლება აქვს იყოს ბედნიერი. ერთ-ერთი აღმზრდელი ამბობს – *„ბავშვს ვღებულობ ისეთს, როგორიც არის“.*

[35] მოწოდებული ინფორმაციით, ვიზიტის პერიოდში, სახლში ირიცხებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სხვა ბავშვებსა და აღმზრდელებს, ხოლო სახელმწიფო – პოლიცია, სააგენტო, სათანადო რეაგირებას არ ახორციელებდა.

საგულისხმოა, რომ დასმულ შეკითხვაზე, უსმენენ თუ არა ბავშვებს და ითვალისწინებენ თუ არა მათ აზრს, ერთ-ერთმა აღმზრდელმა გვიპასუხა: *„ბავშვებისგან მიღებულ ინფორმაციას ყოველთვის სჭირდება გადამოწმება, შეიძლება, მე არ დავიჯერო, იციან ტყუილების თქმა“.* გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის მოსმენასთან დაკავშირებით კი, ერთ-ერთმა აღმზრდელმა, აღნიშნა, რომ არ დასჭირვებიათ. თუმცა, შემდგომ გაიხსენა, რომ კვების მენიუს შედგენისას ითვალისწინებენ ბავშვების აზრს.

2.2. ინფორმაცია ბავშვთა დაცვის მექანიზმების შესახებ

2.2.1. ბავშვები

საგულისხმოა, რომ ბავშვების უმეტესობა ფიქრობს თავი თავად დაიცვას და თუ არაფერი გამოუვა, მხოლოდ შემდეგ მიმართოს სხვებს დასახმარებლად.

ინტერვიუს პროცესში ბავშვები აცხადებდნენ, რომ თავად ცდილობდნენ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ თუ ვერ შეძლებდნენ, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართავდნენ სოციალურ მუშაკს, სამართალდამცავებს, აღმზრდელს, მშობელს, სახალხო დამცველს.[36] თუმცა, ზოგიერთ მათგანს უნდობლობა აქვს სოციალური მუშაკისა და პოლიციის მიმართ, რაც ბავშვების გადმოცემით, ემყარება მათ წარსულ გამოცდილებას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოციალური მუშაკის, ზოგადად ზრუნვის სააგენტოს ფუნქციებისა და როლის შესახებ ცოდნა არათანაბარია, ასევე განსხვავებულია ცოდნა, თუ რა სახის მხარდაჭერას უნდა ელოდეს ბავშვი ამ პროფესიონალებისაგან. არის შემთხვევები, სადაც ჩანს, რომ ბავშვებს სწორი ინფორმაცია აქვთ, ახერხებენ სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციას და იღებენ დახმარებას, თუმცა ვლინდება სრულიად საპირისპიროც.

საუბრისას ერთ-ერთმა ბავშვმა აღნიშნა, რომ სწორედ მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ბავშვები იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში. განმარტა, რომ მშობელს ყველა ვალდებულება ეზღუდება და მას განცხადების წარდგენის შემთხვევაში შეუძლია შვილის ნახვა, თუმცა სახელმწიფო ზრუნვის სერვისებზე არ ფლობდა ინფორმაციას. სხვა რესპონდენტის თანახმად, სოციალური მუშაკები სწორედ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმოადგენენ. მისივე აზრით, ბავშვს შეუძლია მათთვის მიმართვა და აქვე აღნიშნა, რომ შესაძლებელია გარკვეული შემთხვევა პოლიციამ თავად გადაამისამართოს სააგენტოში.

[36] ბავშვების უმრავლესობა, კერძოდ 32.43% მიიჩნევს, რომ სოციალურმა მუშაკმა უნდა დაიცვას ბავშვის უფლებები, 22.97%-ის აზრით – პოლიციამ, 20.27% – აღმზრდელმა, 17.57% – მშობელმა, 10.81%-ის შეხედულებით, კი – სახალხო დამცველმა.

თუმცა, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, ბავშვები ვერ ასახელებენ, ბოლოს როდის იყო მათთან სოციალური მუშაკი, *„ალბათ ბევრი საქმეები აქვს“* – ამით ამართლებენ ვიზიტების სიმწირეს, ასევე იკვეთება სურათი, რომ უმრავლეს შემთხვევაში აღმზრდელია „ხიდი“ ბავშვსა და სოციალურ მუშაკს შორის და პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა არ არის, ან ტელეფონი არ აქვთ სოციალურ მუშაკთან დასაკავშირებლად, ან კიდევ, აღმზრდელის თანდასწრებით უნდა ისაუბრონ – *„უნდა ვიცოდე, ვის ურეკავ“.*

რიგ შემთხვევებში, ბავშვები თვითონვე სწორად ხვდებიან მათი უფლებების დაცვის საჭიროებას, თუმცა აქვე იკვეთება, რომ პასუხისმგებელი პირები (მაგალითად, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ან მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლები) ვერ უზრუნველყოფენ ბავშვების უსაფრთხოებასა და დაცვას. ერთ-ერთი რესპონდენტის გადმოცემით, მის უფლებებს ყველაზე ხშირად მცირე საოჯახო ტიპის სახლის ერთ-ერთი აღსაზრდელი არღვევს, ის ფიქრობს, რომ აღმზრდელი ვალდებულია დაიცვას მისი უსაფრთხოება, მაგრამ თავად აღმზრდელებსაც ეშინიათ „ამ ბავშვის“ და ისინი ბავშვებს ღამით აფრთხილებენ, რომ პრობლემის შემთხვევაში, სახლის დირექტორსა და ლიდერს შეატყობინონ, ასევე დარეკონ ცხელ ხაზზე (112). ერთ-ერთი რესპონდენტი ასევე გვიზიარებს, რომ კონფლიქტური სიტუაციები ხშირადაა სახლში და ყოველ ჯერზე სახლის აღმზრდელი და ლიდერი პოლიციას ურეკავენ, რადგან თვითონ *„ვერ ერევიან“.*

ბავშვების 4.05%-ის აზრით, ბავშვის უფლებებს ყველაზე ხშირად სოციალური მუშაკი, ხოლო 2.7%-ის შეხედულებით კი – პოლიცია და „მათი უფროსობა“ არღვევს. *„პოლიცია რომ მოდის აქ, უშუალოდ სახლში არ ყვირის, მაგრამ გარეთ ყვირის და აგრესიული არის“.* ბავშვების გადმოცემით, მიუხედავად იმისა, რომ მათ იციან, რომ აქვთ უფლება უფროსების ჩაურევლად, პირდაპირ მიმართონ პოლიციას, არსებობს გარკვეული ბარიერი, რასაც პოლიციასთან მათი ურთიერთობის გამოცდილება უდასტურებთ – აღნიშნავენ, რომ პოლიცია ზოგჯერ უხეშად მიმართავს ბავშვებს, არ ითვალისწინებს მათ საჭიროებებს – მაგალითად, აქვთ *„მაღალი ტონი, როცა ბავშვებს ესაუბრებიან“.* ერთ-ერთი აღსაზრდელი ასევე იხსენებს შემთხვევას – როდესაც პოლიცია მათ სახლში იყო მისული, უხეშად მიმართავდა ბავშვებს. ერთ-ერთი აღსაზრდელი ასევე აღნიშნავს, რომ *ეს შეიძლება იმიტომ ემართება პოლიციას, რომ ბევრი სამუშაო აქვთ და იღლებიან და შემდეგ უხეშად იქცევიან.*

თუმცა კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა განსხვავებული შემთხვევაც – ერთ-ერთმა რესპონდენტმა განმარტა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში მოხვედრამდე *„ბავშვები პოლიციაში“ მიიყვანეს, სადაც პოლიციელს ესაუბრა. გოგოს გადმოცემით, პოლიციელმა მას აუხსნა, რომ ბავშვის სურვილზე იყო დამოკიდებული განთავსდებოდა თუ არა იგი მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მისი გადმოცემით, ამ გასაუბრებამდე პოლიციელების ეშინოდა, „ეს ბიჭი პოლიციელი კი კარგი და თბილი იყო“* და მას შემდეგ აღარ ეშინია მათი.

პოლიციასთან ურთიერთობის გამოცდილებას იხსენებს სხვა გოგოც, რომელიც აღწერს, რომ რამდენიმე წლის წინ, მას აბრალებდნენ ეკლესიის შესაწირი ყუთიდან თანხის მოპარვას, რაზეც მიმართეს პოლიციას და შემდგომ ის გამოკითხეს პოლიციის განყოფილებაში. არასრულწლოვანი ყვება, რომ გამოკითხვას სოციალური მუშაკიც ესწრებოდა. განყოფილებაში მამასთან ერთად გადაიყვანეს, ადგილზე შესთავაზეს საკვები, წყალი, საპირფარეშოთი სარგებლობა. გამოკითხვის პროცესში რამდენჯერმე ჰქონდა შესვენება (ამბობს 4-5- ჯერ, თუმცა ზუსტად არ ახსოვს). ბავშვი ასევე მიუთითებდა, რომ თავს უფრო მშვიდად გრძნობდა, რადგან სოციაური მუშაკი მის გვერდით იყო. თუმცა, ასევე დასძინა, რომ ამ პროცესში მასთან არ იყო ფსიქოლოგი. ფსიქოლოგის ჩართვა, მართალია, სავალდებულო არ არის, თუმცა გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას სამართალსამცავი უწყება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებისამებრ იღებს. ბავშვი ასევე განმარტავს, რომ მის გამოკითხვას ფსიქოლოგიც რომ დასწრებოდა, პოლიციელებს ეტყოდა, რომ ბავშვებისთვის სხვა, უფრო მეგობრული ტონით დაესვა შეკითხვები.

ერთმა ბავშვმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი სოციალური ქსელის მეშვეობით სწერდა და ცდილობდა მასთან არასამსახურებრივ ფორმატში ურთიერთობას, რაზეც ბავშვმა განუმარტა, რომ თუ გააგრძელებდა კომუნიკაციას, შესაბამის სამსახურს მიმართავდა. ბავშვის განმარტებით, ამის შემდეგ მისგან შეტყობინება აღარ მიუღია.

ერთ-ერთი აღსაზრდელი ბიჭის თქმით, *„როდესაც მცირე საოჯახო ტიპის სახლში მოდიან პოლიციიდან, აქვთ ზერელე დამოკიდებულება და იცინიან, ვინაიდან ბავშვებს არ აღიქვამენ სერიოზულად“.* მან გაიხსენა აღსაზრდელებს შორის კონფლიქტის მიზეზით პოლიციის გამოძახების შემთხვევა, როდესაც პოლიციელებმა მათ განუცხადეს, რომ სხვა საქმეებიც ჰქონდათ და ხელწერილი დააწერინეს.

ერთ-ერთი ბენეფიციარი აღნიშნავს, რომ ყველაზე ხშირად მათ ირგვლივ ბავშვის უფლებებს სახლის მენეჯერი არღვევს. *„სახლში რომ შემოდის, უყვირის ბავშვებს. ასევე აგრესიული ხდება, როცა ბავშვები პრეტენზიებით მიმართავენ ან რაიმე სახის უკმაყოფილებას გამოთქვამენ მის მიმართ და მენეჯერთან დაკავშირებით ბავშვებს აქვთ უნდობლობის განცდა, ცდილობენ თავი აარიდონ კონფლიქტურ სიტუაციებს, თუმცა, როცა სახლში რაიმე სჭირდებათ, მაინც უწევთ მენეჯერთან კომუნიკაცია“.* გამოიკვეთა საყურადღებო შემთხვევაც – მობილური ტელეფონი თითქმის ყველა ბავშვს აქვს, თუმცა ერთ-ერთ მათგანს მცირე საოჯახო ტიპის სახლის ადმინისტრაცია აღარ ურიცხავს თანხას.

ერთ-ერთი ბავშვის განმარტებით, მამის მხრიდან ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას ფლობდა მისი მასწავლებელი, დამრიგებელი, ასევე, სკოლის იმჟამინდელი დირექტორი, თუმცა რეაგირება არცერთ მათგანს არ მოუხდენია. ყველაზე მეტად მხარდაჭერა იგრძნო იმ

მასწავლებლისგან, რომელსაც თავდაპირველად ესაუბრა ძალადობის თაობაზე. თუმცა, საბოლოოდ, ბავშვმა ცხელი ხაზის (112) მეშვეობით, მამის მხრიდან მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ, თავადვე მიაწოდა ინფორმაცია სამართალდამცავებს.

სამწუხაროდ, გამოკითხული აღსაზრდელების ნახევარს საერთოდ არ სმენია იურიდიული დახმარებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების შესახებ, ხოლო 52.70%-ს, არ სმენია არასამთავრობო ორგანიზაციების თაობაზე. ბავშვები ფიქრობენ, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფასო იურიდიული დახმარება. მათ იციან, რას საქმიანობს ადვოკატი ზოგადად, მაგრამ არ აქვთ ინფორმაცია, რომ შეიძლება ჰყავდეთ ადვოკატი უსასყიდლოდ და არ იციან, სად შეიძლება მოიძიონ ეს ინფორმაცია.

სასამართლოს მიმართ ბავშვების დამოკიდებულება, ძირითადად, დადებითია, დადებითად ახასიათებენ მოსამართლეებთან ურთიერთობის გამოცდილებასაც, თუმცა არ იციან, რომ მათ დამოუკიდებლად, სხვების უნებართვოდ, შეუძლიათ მიმართონ სარჩელით სასამართლოს. რამდენიმე რესპონდენტი ფიქრობს, რომ სასამართლოში გარემო მორგებულია ბავშვზე. მათგან ერთ-ერთმა განმარტა, რომ სასამართლოსთან შეხება ჰქონდა მშობლისგან გარკვეული პერიოდით განცალკევების საქმესთან დაკავშირებით. აქვე განმარტავს, რომ მოსამართლე ძალიან მოეწონა და მასთან ბევრი ისაუბრა.

საერთაშორისო დონეზე ბავშვთა უფლებების დაცვის თაობაზე, ბავშვების მცირე ნაწილს სმენია, რომ არის ასეთი მექანიზმი, თუმცა არ იციან, ვის და როგორ უნდა მიმართონ იმისათვის, რომ ეს მექანიზმი გამოიყენონ. ბევრს კი საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ასეთი საშუალების შესახებ.

ყველა ადასტურებს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არ არის ერთი კონკრეტული ადამიანი გამოყოფილი იმისთვის, რათა *„ბავშვთა დამცველი იყოს“*, მათ ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე ინდივიდუალურად იმუშაოს. აქვე, აღსანიშნავია, რომ სახლებში არის გასაჩივრების ყუთები, მაგრამ უკუკავშირისა და გასაჩივრების ეს მექანიზმი, უმეტესწილად, არაეფექტიანი და ფორმალურია, და მას ბავშვები თითქმის არ იყენებენ: *„სახლში გვაქვს წერილების ყუთი, თუმცა მასში არაფერი არ დევს“.*

კვლევის ამ ნაწილში შეფასდა აღსაზრდელების ნდობის ხარისხი სხვადასხვა ინსტიტუციისადმი. ამ მიზნით, ბავშვებმა უპასუხეს ისეთ ჰიპოთეტურ შეკითხვებს, როგორიცაა, მაგალითად, ვის გაუმხელდნენ საიდუმლოს პრობლემის არსებობის შემთხვევაში? უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო – *„არავის“*, თუმცა იყო ერთეული შემთხვევები, როცა დასახელდა აღმზრდელი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი. *„სრულიად ყველაფერი უნდა უთხრა, არ უნდა დამალო. რჩევებს რომ მოგცემს, გამოგადგება. რამდენჯერაც მოვუსმინე, მოვიგე (რესპონდენტი ფსიქოლოგის შესახებ). გავუმხელდი მას, ვინც ბავშვებს იცავს, კერძოდ, სოციალურ მუშაკს“.*

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ბავშვის გადმოცემით, ზაფხულის პერიოდში დაუკავშირდა სკოლის მანდატურს და აცნობა, რომ განიცდიდა ძალადობას, თუმცა მანდატურმა საპასუხოდ უთხრა, რომ მხოლოდ სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეძლებდა მის მხარდაჭერას. აქვე, ერთ-ერთი აღმზრდელი აღნიშნავდა, რომ სკოლის დირექტორთან მიმართვას აზრი არ აქვს და რომ მასთან კომუნიკაციის უარყოფითი გამოცდილება აქვს.

დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ბავშვების უმრავლესობა საიდუმლოს შენახვასთან დაკავშირებით შემდეგნაირ მიდგომას ავლენს – *„ადამიანი რაღაცას გეტყვის, გიზიარებს გულისტკივილს, რომელსაც ინახავ, secret-ია, მაგრამ ისეთი რამე, მაგალითად, თუ მეტყვიან, მამაჩემი მოძალადეა, ეს არ უნდა დარჩეს საიდუმლოდ“. „დაცინვისა და დამცირების შემთხვევები დაუშვებელია საიდუმლოდ დარჩეს, დაუშვებელია საიდუმლოდ დარჩეს ისეთი საკითხი, როდესაც, შესაძლოა, ვინმეს რაიმე დაუშავდეს“.*

2.2.2. აღმზრდელები

აღმზრდელებმა, სოციალური მუშაკის და პოლიციის გარდა, არ იციან იმ დაწესებულებების შესახებ, ვისაც ბავშვმა შეიძლება მიმართოს უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მათ სმენიათ, მაგრამ დეტალები არ იციან იურიდიული დახმარების სამსახურის და პერსონალური ინფორმაციის დაცვის სამსახურის შესახებ. ასევე არ ფლობენ ინფორმაციას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, სადაც ბავშვებმა შეიძლება მიიღონ სამართლებრივი მომსახურება.

საგულისხმოა აღმზრდელების პოზიცია, დამოკიდებულებები და პროფესიული ხედვები, რომლებსაც ავლენენ ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ. რესპონდენტებთან საუბრისას, ხშირად იკვეთებოდა შემდეგი მოსაზრება – ბავშვის უფლებების უკეთ დაცვის ბარიერად მიიჩნევდნენ რთული ქცევის, „აგრესიული“ ბავშვების სხვა ბავშვებთან ერთად ყოფნას. აღნიშნავდნენ, რომ *„როდესაც ეს ბავშვები აგრესიას გამოხატავენ, სხვები შეყუჟულნი არიან“. „ბავშვი, რომელზეც, მაგალითად, მამა ძალადობდა ოჯახში, შემდგომ სხვა, რთული ქცევის აღსაზრდელის დასისხლიანებულ ხელებს არ უნდა ხედავდეს“. „ბავშვები, რომლებსაც სქესობრივი ცხოვრება აქვთ, მრავალი პარტნიორი ჰყავთ და სახლში საღამოს არც მოდიან, უარყოფით გავლენას ახდენენ სხვა აღსაზრდელებზე. მათ არ აქვთ თვითმოვლის უნარ-ჩვევები და არის ჰიგიენის დაცვის გამოწვევებიც, რაც უარყოფითად აისახება სხვა ბავშვებზე“.* კვლევამ აჩვენა, რომ ხშირია 112-ზე დარეკვის შემთხვევები, სწორედ იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა ბავშვების მიმართ აგრესიულები არიან, ან ახასიათებთ ანტისოციალური ქცევის მაღალი რისკი, თუმცა რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად უწევთ პოლიციის გამოძახება, იმასაც ამბობენ, რომ ამით პრობლემა არ გვარდება და ხშირი გამოძახებით პოლიციელებიც წუხდებიან. *აღნიშნული, შესაძლოა,*

უკავშირდებოდეს, როგორც სამართალდამცავი უწყების მხრიდან ეფექტიანი რეაგირების სავარაუდო გამოწვევებს, ასევე, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების არაინფორმირებულობას ამ უწყების უფლებამოსილების შესახებ და, შესაბამისად, არასწორ მოლოდინებს.

რაც შეეხება გასაჩივრების უფლებას სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში, აღმზრდელების უმეტესობა ეჭვობს, რომ ბავშვს დამოუკიდებლად მიმართვა შეეძლოს. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა აღმზრდელი გარკვეულწილად ინფორმირებულია და ამბობს, რომ ბავშვს დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება აქვს.

ერთ-ერთმა აღმზრდელმა თავდაპირველად განაცხადა, რომ არ იცოდა, შეუძლია თუ არა ბავშვს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიმართვა, თუმცა მოგვიანებით გაიხსენა შემთხვევა, როდესაც აღსაზრდელმა წლების წინ აპარატის ცხელ ხაზზე დარეკა. ამავე დროს, აღმზრდელმა ბავშვის საქციელი გარკვეულწილად გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ *„ცოტა ისეთი ბავშვი იყო, ყურადღების ცენტრში უყვარდა ყოფნა“.*

ერთ-ერთი აღმზრდელის თანახმად, *„ბავშვებს პოლიციის რიდი აქვთ. ისინი გამოძახებისას მოდიან.“* აღმზრდელმა ასევე გაიხსენა ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიციამ ჩაისვა ბავშვი მანქანაში, კანონიერი წარმომადგენლის, აღმზრდელის გარეშე ესაუბრა და ბავშვის სურვილზე – აღმზრდელთან დაერეკა, განუმარტა, რომ აღმზრდელთან დარეკვის საჭიროება არ არსებობდა.

ერთ-ერთი აღმზრდელი პოლიციაზე საუბრისას აღნიშნავს, – *„ჩემი აზრით, არ უნდა მიმართონ (ბავშვებმა), მარა მიმართავენ“.*

არსებობს სხვა გამოცდილებაც, როცა ჯერ პირადად აღმზრდელებს ატყობინებენ ბავშვები პრობლემის შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, უფროსს აყენებენ საქმის კურსში, შემდგომ კი, ერთობლივად წყვეტენ, მიმართოს თუ არა ბავშვმა პოლიციას. სკოლასთან და სახელმწიფო ზრუნვის საგენტოსთან დაკავშირებით, აღმზრდელი განმარტავს, რომ ბავშვს პირდაპირ მიმართვა შეუძლია. იგივე აღმზრდელი არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ უფლების დარღვევის შემთხვევაში ბავშვს არ აქვს პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობა. იურიდიული დახმარების სამსახურზე კი ამბობს, ბავშვებმა *„არა მგონია, მაგდენი იცოდნენო“.*

კიდევ ერთმა აღმზრდელმა აღნიშნა, რომ *ბავშვს არ აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, რადგან სრულწლოვანი არ არის, ამიტომ, ვინმეს უნდა უთხრან [დასახმარებლად მიმართონ]. მისივე თქმით, იურიდიული დახმარების სამსახურს და არასამთავრობო ორგანიზაციას ბავშვი ვერ მიმართავს, რადგან სრულწლოვანი არ არის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კი არ სმენია.*

აღმზრდელების აბსოლუტურ უმეტესობას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ბავშვს, უფლების დაცვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ დაცვის მექანიზმებში მოითხოვოს.

2.3. ცოდნა ცხელი ხაზის შესახებ

2.3.1. ბავშვები

გასაუბრების დროს, დაისვა შეკითხვები იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციას ფლობენ ბავშვები ქვეყანაში მოქმედი ცხელი ხაზების შესახებ, სადაც შეუძლიათ დარეკონ როგორც ინფორმაციის მისაღებად, ისე დახმარების სათხოვნელად.

აღმოჩნდა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა – 60.81% ინფორმაციას ფლობს მხოლოდ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ცხელი ხაზის – ,,112"-ის შესახებ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გარკვეულ შემთხვევებში პოლიცია, სახანძრო, სამაშველო სამსახური და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახოს. რესპონდენტების 4.05%-მა ახსენა სახალხო დამცველის აპარატი, რომელსაც დაურეკავდა საჭიროების შემთხვევაში, თუმცა ცხელი ხაზის ნომერი – „1481" ვერ დაასახელეს.

რაც შეეხება სხვა ცხელ ხაზებს, როგორიცაა: ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი -„1505", ბავშვთა ცხელი ხაზი – „111", ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი – „116006" (ერთი რესპონდენტი გოგოს გარდა) და სხვა, ბავშვებს მათ შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

2.3.2. აღმზრდელები

ცხელი ხაზების შესახებ ინფორმირებულობის დონე ბავშვებსა და აღმზრდელებში იდენტურია. ბავშვების მსგავსად, აღმზრდელებიც ასახელებენ მხოლოდ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ცხელ ხაზს – ,,112", და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გარკვეულ შემთხვევებში პოლიცია გამოიძახონ.

ერთ-ერთი აღმზრდელი ამბობს – *„ზოგადად მსმენია ცხელი ხაზების შესახებ, ვიცი, რომ „112" არის 24-საათიანი, მაგრამ სწორად არ მიმაჩნია, რომ ბავშვმა პირდაპირ დარეკოს ცხელ ხაზზე, ამის ნაცვლად, უმჯობესია, მშობელს დაეკითხოს ჯერ, როგორც მის კანონიერ წარმომადგენელს და მშობელი თუ გადაწყვეტს, შემდეგ დარეკოს სადმე".*

აგრეთვე გამოვლინდა არასათანადო მითითებები და ახსნები როგორც უფლების დაცვის მექანიზმების, ისე ცხელი ხაზის დანიშნულების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთმა აღმზრდელმა აღნიშნა, რომ ბავშვებს ეუბნება, *„როცა გჩაგრავენ და ძალადობენ, თავი მაშინ უნდა დაიცვა, თორემ ორი და სამი დღის მერე აღარ უნდა მოითხოვო".* ასევე, ბავშვებს ეუბნება, რომ ცხელი ხაზის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დაამტკიცონ, რასაც ამბობენ, *„შენ თუ ტყუილად დარეკავ, პასუხს მოგთხოვენ ამაზე".*

დასმულ კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება ბავშვმა დარეკოს ცხელ ხაზზე და ითხოვოს დახმარება, და არის თუ არა კომუნიკაცია კონფიდენციალური, ერთ-ერთი მცირე საოჯახო სახლის გამოცდილება ამგვარია, *„თუ არასრულწლოვანს ცხელ ხაზზე დარეკვა დასჭირდა, შეუძლია საერთო ტელეფონი გამოიყენოს. თუმცა ტელეფონი ლიდერს აქვს თან და მორიგეობის (დილიდან – 17:00-მდე) დასრულებისას ხან მიაქვს, ხან ტოვებს“.* რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ჯერ ბავშვებს ეკითხებიან, რატომ რეკავს, რათა გაარკვიონ, თვითონ სახლის თანამშრომლები თუ შეძლებენ მოგვარებას, თუ არ გამოუვათ, მერე შეუძლიათ დარეკვა. ბავშვებს ეუბნებიან: *„თუ არ გამოგვივა, შეგიძლია, მერე დარეკო“. მანვე აღნიშნა, რომ ბავშვები ეუბნებიან, ვისთან უნდათ დარეკვა და აღმზრდელის კონტროლის ქვეშ რეკავენ, აღმზრდელი უყურებს, სად რეკავს ბავშვი, არ ტოვებს მარტოს. ოთახში შეიძლება მარტო იყოს ბავშვი, მაგრამ აღმზრდელი შორიახლოსაა, რომ იცოდეს, ვის ესაუბრება. აღმზრდელმა ასევე გვითხრა: „გვეკითხებიან, დედასთან უნდა დარეკონ, შენი კონტროლის ქვეშ, უყურებ, სად რეკავს, არ ვტოვებთ, ოთახშია და მეც ახლოს ვარ, არ ვაყურადებ, მაგრამ ვხვდები, ვის ესაუბრება“.* თუმცა არის განსხვავებული გამოცდილებაც, როცა ტელეფონები მისაწვდომია და კომუნიკაცია კონფიდენციალური.

2.4. ბავშვებთან მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებთან და სერვისის მიმწოდებლებთან გასაუბრების შედეგები

პროფესიონალებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის გამოწვევები რამდენიმე საკითხად შეიძლება გაერთიანდეს.

2.4.1. რესურსების ნაკლებობა

უკლებლივ ყველა უწყების და ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს ადამიანური თუ სხვა რესურსების[37] სიმწირეზე. მათ შორის, აღნიშნავენ, რომ წინა წლებში სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება ეთმობოდა ბავშვზე ზრუნვის თემებს და, შესაბამისად, რესურსიც მეტი იყო. *„ძალიან ვიჭედებით კრიზისული და რთული ქცევის დროს, რაც არ უნდა თეორიული უნარები გადავცეთ ამ ხალხს, ცოდნა, ისეთი ქეისები მოდის, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, რომ ამ ბავშვებს მართლა, რაღაც სხვა სერვისი სჭირდებათ, ფსიქიატრების დიდი ჩართულობა სჭირდებათ, ფსიქოთერაპევტების დიდი ჩართულობა სჭირდებათ და ჩვენი აღმზრდელები, ფსიქოლოგები, რაც არ უნდა დავატრენინგოთ, ვერ მართავენ, ისეთი რთული ქეისები მოდის“.*

[37] სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის, აღნიშნავენ ფინანსური რესურსის სიმწირეზე, რაც აისახება ბავშვებისთვის ეფექტიანი მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, კვალიფიციური კადრების მოზიდვის თვალსაზრისით.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები ცდილობენ, რთული ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვების მხარდამჭერი სერვისები თავად მოიძიონ, მიმართვა კეთდება, როგორც სახელმწიფო სამსახურებისადმი, როგორიცაა რეფერირების ცენტრი, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი. მოწოდებული ინფორმაციით, სახელმწიფო ორგანიზაციის ჩართულობა ამ პროცესში საკმაოდ მწირია და *„ყველაზე მხარდამჭერი რგოლი, ალბათ, ისევ ასოციაციები და კოალიციებია, სადაც ერთმანეთს ვაძლიერებთ NGO-ები, თორე სახელმწიფო სტრუქტურების დიდი იმედი, ამ ბოლო ხანებში, აღარ გვაქვს“.*

ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან მიღებული ინფორმაციით იკვეთება, რომ გართულებულია, მაგალითად, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრებისა და თავშესაფრების საქმიანობა ბევრი გარე ფაქტორის, მაგალითად, ცენტრში ბავშვის ჩარიცხვის მიზნობრიობის გამო: *„ჩარიცხვაც როგორ კეთდება, სოციალურმა მუშაკმა, უბრალოდ, ვერსად ვერ წაიყვანა და ამიტომ უნდა შემოიყვანოს ამ სერვისში?!“* როგორც ირკვევა, ცენტრებში ირიცხებიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები; არიან კანონთან კონფლიქტში, მოიხმარენ ნივთიერებებს; ჩართულები არიან პროსტიტუციაში და სხვ. – *„არ არის ბავშვი კლასიკური გაგებით ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე“; „ეს ბავშვი არის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავეო, მერე გამოიკვეთება, რომ სხვა საჭიროებები აქვს ამ ბავშვს“.*

სირთულეს ქმნის ის, რომ დღის ცენტრები და თავშესაფრები სხვა ტიპის სერვისის მიწოდებას გულისხმობს, მაგრამ იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ აქვს სხვა მიზნობრივი დამატებითი მხარდამჭერი სერვისები, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები, ცენტრს უწევს მოემსახუროს ბავშვებს, რომლებსაც მწვავე ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ნივთიერების მოხმარების პრობლემა აქვთ და სრულიად განსხვავებული გარემო, ან/და დამატებითი სერვისი ესაჭიროებათ. მაგალითად, *„ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია დეტოქსის ასპექტები, ნივთიერებაზე დამოკიდებულება ვისაც აქვს, იქ ფაქტობრივად, ვერაფერს ვაკეთებთ. ვგულისხმობ იმას, რომ, მაგალითად, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვი გაზს რომ სუნთქავს 24/7-ზე, ან წებოს, მარიხუანას მოიხმარს, აქ ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია? ამას სხვა ტიპის სერვისი სჭირდება“; „როგორი სიტუაცია გვაქვს ახლა ჩვენ, დეტოქსის პროგრამები რაც არსებობს, 3-4 თვიანი, დაახლოებით 40-45 ათასის ფარგლებში ჯდება და, შესაბამისად, ვერცერთი სერვისპროვაიდერი, რაც არ უნდა მონდომებული ვიყოთ, ვერ შევძლებთ მის დაფინანსებას. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მსგავსი ტიპის სერვისების დანერგვაზე ბავშვებისათვის“.*

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამასთანავე, საუბრობენ დაწესებულებებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურებისა და დაფინანსების გაზრდის საჭიროებებზე, რათა შემცირდეს კადრების გადინება, რაც აბრკოლებს ინსტიტუციური მეხსიერების

ჩამოყალიბებას – *„სახელმწიფომ ადეკვატურთან მიახლოებული რესურსი უნდა გამოყოს, რომ ჩვენ შევძლოთ იმ თანამშრომლების შენარჩუნება, რომელთა განათლებაზე, გადამზადებაზე ვიზრუნებთ. უწევს ადამიანს საკუთარი სიცოცხლის რისკის ქვეშ მუშაობა, ხან დანა დაფრინავს, ხან სკამი. ხედავენ, რომ არ არის მხარდამჭერი ის რგოლი, რომელიც უნდა იყოს, მაგალითად, სააგენტო, როდესაც ამბობენ, აბა, სად წავიყვანო ბავშვი, სხვა სერვისი არ მაქვს, რაც არის ძალიან დიდი იმედგაცრუება. იმიტომ, რომ სახელმწიფოს სერვისი არ აქვს, იღუპება ძალიან ბევრი ბავშვი“.*

სამართალდამცავი უწყების თანამშრომლების ინფორმაციით, პრობლემურია სოციალური მუშაკებისა თუ ფსიქოლოგების რაოდენობა და მათი დროული ჩართულობა, როდესაც ბავშვია გამოსაკითხი – *„მე, ძირითადად, მყავს ვიღაც-ვიღაცები, ახლობლები და თხოვნით მოდის, მარა, საერთო ჯამში, ყველას უჭირს სახლიდან გამოსვლა და დამატებით მუშაობა“.*

რესურსების სიმწირეზე, თავად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგებიც საუბრობენ, როგორც ადამიანური რესურსის, ისე მხარდამჭერი, მათ შორის, სარეაბილიტაციო სერვისების ჭრილში, ასევე, სააგენტოში ბავშვებისთვის იურიდიული კონსულტაციის გაწევის კუთხით. სოციალური მუშაკები განმარტავენ, რომ იურისტის მისაწვდომობის პრობლემა არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ, თავადაც აქვთ, კადრების სიმცირის გამო. როცა იურისტი არ არის მისაწვდომი და სოციალურმა მუშაკმა არ იცის კონკრეტული საკითხის შესახებ, იძიებს და ისე აწვდის ინფორმაციას ბავშვს.

2.4.2. პროფესიული განათლება/გადამზადება

ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ პერსონალის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ტრენინგებით უზრუნველყოფის საჭიროებაზე.

ბავშვთა უფლებების შესახებ პერიოდული, უფრო ინტენსიური გადამზადების საჭიროებაზე საუბრობენ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებიც და უთითებენ როგორც სპეციალიზაციის, ისე განგრძობითი განათლების მნიშვნელობაზე. აღნიშნავენ, რომ სპეციალიზებული თანამშრომლების სიმცირე დროში ახანგრძლივებს რეაგირების საკითხს და ერთდროულად რამდენიმე გამოძახებისას, შესაძლოა, გამოწვევები წარმოიშვას.

ამასთანავე, ითქვა, რომ მნიშვნელოვანია, გადამზადების კურსი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც არ არიან არასრულწლოვნის გამოკითხვაზე უფლებამოსილნი, მეტად იყოს მათ საქმიანობაზე მორგებული. ეს კი, შესაძლოა, სპეციალიზაციის არსებული კურსის მიღმა, პოლიციელების საჭიროებებზე მორგებული, მათ სამუშაო სპეციფიკაზე ორიენტირებული

მოდულის შექმნისა და შესაბამისი გადამზადების საჭიროებაზე მიუთითებდეს. ამ გამოწვევასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული თანამშრომლების რაოდენობის ზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში, მოტივაციის ასამაღლებელი მექანიზმების დამატებით განვითარება.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგების ყოველდღიური საქმიანობა მოიცავს ბავშვებთან მუშაობას, თუმცა ირკვევა, რომ მათ სიღრმისეული გადამზადება ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხებზე, არ გაუვლიათ. ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ ცოტა ტრენინგი უტარდებათ, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია, დეტალურად იცოდნენ ბავშვის უფლებები და, საჭიროების შემთხვევაში, არათუ მართლმსაჯულების განხორციელების თითოეული ეტაპის შესახებ მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია ბავშვებს, არამედ ამ პროცესში მხარდაჭერაც აღმოუჩინონ. ერთ-ერთი ფსიქოლოგის თქმით, *„ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვი ძალიან დაძაბული იყო სასამართლო სხდომაზე გამოსვლის წინ. ამ პროცესში ერთვება ფსიქოლოგი, იკვლევს, რით არის გამოწვეული დაძაბულობა. მაგალითად, ხშირად, არ იციან, რა პროცესში არიან ჩართულნი და ფსიქოლოგი აღუწერს პროცესს, რის შემდგომაც ბავშვს შფოთვა უმცირდება. შეიძლება, წინასწარ აჩვენონ სასამართლო დარბაზი, მოსამართლის, ბავშვის ადგილი. მოსამართლეს აძლევენ რეკომენდაციას, მოძალადის დარბაზიდან გაყვანის, ბავშვის ცალკე ოთახში დაკითხვის შესახებ. ასევე გამოკითხვისას“.*

რაც შეეხება სოციალური მუშაკების გადამზადების საკითხს, მათ აღნიშნეს, რომ ნაკლებად ეძლევათ განახლებული ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. სოციალური მუშაკების ნაწილს აქვს მოძველებული ინფორმაცია საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ, რომლითაც ხელმძღვანელობენ. მათი განმარტებით, *„როდესაც ბავშვი არის 10 წლის და ზემოთ, მისი ასაკობრივი თუ გონებრივი სიმწიფის გათვალისწინებით, ხდება პოზიციის დაფიქსირება, ოფიციალურად, ასე რომ ვთქვათ, ანუ უკვე შეუძლია, მას განცხადებით დაგვიფიქსიროს ესა თუ ის მოსაზრება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ თუკი ბავშვი არის ათ წლამდე, მაგრამ მას აქვს ისეთი გონებრივი შესაძლებლობები, რომ შეუძლია მკაფიოდ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც არის გასათვალისწინებელი მისი აზრი“; „ბავშვთა უფლებათა კოდექსშიც არის ეს განმარტებული, რომ 10 წლის ბავშვს უკვე შეუძლია, რომ წერილობითი განცხადებით დააფიქსიროს [პოზიცია]. გასაუბრების დროს კი, ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, 14 წლამდე ბავშვს არ აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს“.*

აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი ექსპლიციტურად გამორიცხავს ასაკის მიხედვით ბავშვის აზრის მოსმენის და გათვალისწინების შეზღუდვების დაწესებას. კოდექსის თანახმად,

„ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად... დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა".[38] 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებების და ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობაში იმ დროს არსებული ჩანაწერი სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის ასაკობრივი ცენზის შესახებ (14 წელი) გაუქმდა და დღეის მდგომარეობით, ყველა ბავშვს, ასაკის მიუხედავად, აქვს უფლება სარჩელით მიმართოს როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებს.[39]

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე უთითებენ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების გადამზადების საჭიროებაზე: *„ასევე, ბავშვზე ზრუნვის სისტემაზე (სააგენტოს) ვიტყოდი ერთ-ორ სიტყვას, რომ იქნება ვინმემ გააძლიეროს, რომ კადრები ყავდეთ და გადამზადებული. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ახალი კადრი ყავთ, ძალიან ხშირად ეცვლებათ კადრები და გადამზადებას ვერ ასწრებენ".*

მიუხედავად იმისა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ხელმძღვანელი პირების ინფორმაციით, დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა ინფორმირებას უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ – ბავშვებს ამ საკითხებზე უტარდებათ შეხვედრები, მიეწოდებათ ინფორმაცია ცხელი ხაზების თაობაზე, ურიგდებათ ბროშურები, სადაც არის იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, ვისაც შეუძლიათ მიმართონ, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები მიუთითებენ ბავშვებთან საგანმანათლებლო აქტივობების ჩატარების ნაკლებობაზე. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი გვიყვება: *„ჩვენ ორგანიზაციის შიგნითაც გვაქვს ბავშვთა დაცვის გუნდი და იციან, რომ ამ გუნდსაც შეუძლიათ მიმართონ, როგორც კონფიდენციალურად, ანონიმურად"; „ყუთები გვაქვს, ასევე, სახლებში აქვთ გამოკრული, თუ როგორ შეუძლიათ, ვის როგორ დაუკავშირდნენ. ზოგადად, ძალადობის ყველა ტიპზე გვაქვს საუბარი, ქეისები შეგვაქვს, რომელსაც განვიხილავთ – თქვენ რას იზამდით, რა პრობლემას ხედავთ, ვეკითხებით; გარდა ამისა, ცალკე მოდული არ გვაქვს, მაგრამ სამართალზე გვაქვს შეხვედრები ბავშვებთან; სექსუალურ აღზრდაზე, ბიჭებთან მოვიწვიეთ ტრენერები".*

ზოგადად, სერვისის მიმწოდებლები ყურადღებას ამახვილებენ უშუალოდ ბავშვების ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე და მოწოდებული ინფორმაციით, ცდილობენ საკუთარი შიდა რესურსებით უზრუნველყონ ამ ცოდნის გაზიარება; ამასთანავე, არის შემთხვევები, როდესაც ისინი მიმარ-

[38] ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 8.

[39] იქვე, მუხლი 75.

თავენ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს, რასაც ყოველთვის არ მოჰყვება შედეგი. თუმცა, გაიხსენა შემთხვევა, როდესაც პროკურატურას სთხოვეს და ისინი მივიდნენ, ესაუბრნენ მათ უფლებებზე, ვალდებულებებზე.

ერთ-ერთი პროვაიდერი ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ლიდერი აცნობს და ეხმარება აღმზრდელებსაც და ბავშვებსაც მათი უფლებების და საჭირო მხარდამჭერი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მაგრამ მიუთითებს პრობლემაზეც, რომელიც უშუალოდ აღმზრდელებს უკავშირდება; კერძოდ კი, იმაზე, რომ ამ ადამიანებს რთული სამუშაო აქვთ, საკმაოდ მძიმე ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებთან უწევთ ურთიერთობა და ტრენინგების ჩატარების მიუხედავად, ზოგი მაინც ვერ ართმევს თავს და უწევთ ასეთი პირების გათავისუფლება. მისი გადმოცემით, რთულია ახალი კადრის მოძიება, შეიძლება მცირე საოჯახო ტიპის სახლი დახურვის რისკის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან საქმე მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, ანაზღაურება კი მიზერულია – *„500 ლარს რომ მისცემ ადამიანს ხელფასს, ეს ხელფასი არ არის, ეს არის დაცინვა. ერთ სახლში სამი აღმზრდელი მყავს, მეორეში ცოტა ხანში ორი მეყოლება. ყველა პროვაიდერი ამ მდგომარეობაშია“.*

აღმზრდელებთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ტრენინგი არ ჩატარებულა და ამის საჭიროებაზეც მიუთითებენ, ვინაიდან აღმზრდელმა უნდა იცოდეს როგორ მოიქცეს, თუ, მაგალითად, მცირე საოჯახო ტიპის სახლში პოლიციის ეკიპაჟი მიდის და ბავშვის გამოკითხვის საჭიროება დგება, ამ დროს ვინ უნდა ესწრებოდეს ამ პროცესს – *„იყო შემთხვევები, რომ თვითონ სააგენტომ დარეკა და თქვეს, არა უშავს, თვითონ აღმზრდელი დაესწროსო, რაც გავაპროტესტეთ, რადგან აღმზრდელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე გადამზადება არ აქვს გავლილი“. „აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ, რა უფლებები აქვთ ბავშვებს და თავადაც. მაგალითად, აღმზრდელი რომ წაიყვანეს, ოთხი საათი არ ვიცოდი, სად იყო, ტელეფონი ჩამოართვეს, რომ ვრეკავდი განყოფილებაში, გამოვა-გამოვაო. ბოლოს, სანამ არ ვუთხარი, ვინმე უფროსის ნომერი მოეცათ, იქამდე არ გამოუშვეს“.*

2.4.3. რთული ქცევის მართვა

საერთო გამოწვევები იკვეთება ბავშვებში დევიაციური ქცევის მატების კუთხით, რაც ბავშვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. მათ შორის, აღინიშნა ფსიქოსოციალური საჭიროებით გამოწვეული სირთულეები, რასაც ორგანიზაციები სათანადოდ ვერ უმკლავდებიან.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირება პრობლემურია,

როდესაც ბავშვებს არ აქვთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი და არ არსებობს კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციისა და შემდგომი ინტერვენციის ეფექტიანი მექანიზმები.

ბავშვებისთვის შესატყვისი პროგრამებისა და სერვისების სიმწირესთან დაკავშირებულ გამოწვევებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომელთა გადმოცემით, სწორედ ამის გამო, გართულებულია როგორც ბავშვების ქცევის მართვა, ისე მათი უფლებების დაცვა და ერთადერთი, რითაც ცდილობენ მწვავე შემთხვევების გადაჭრას, არის „112"-ზე დარეკვა. თუმცა, ამავე დროს, პოლიციის რეაგირების არასწორ მიდგომებზეც უთითებენ: *„ჩვენი ბავშვები არიან ბავშვები, რომლებიც შსს-ს მუდმივად უქმნით პრობლემებს, რომლებზეც ძალიან ხშირად შედის ზარი 112-ში; თუ 10 საათის მერე ბავშვი ტერიტორიაზე არ არის, ვალდებულება გვაქვს შევატყობინოთ, ყოველ ჯერზე არის ისეთი ფრაზები, აი, დაგვღალეთ, რა გინდათ, რატომ რეკავთ?!"* ასევე საუბრობენ სერვისების სიმწირეზე და არასრულწლოვანთა კანონთან შემხებლობის გაზრდილ შემთხვევებზე – *„არის რაღაცა ხაზი, რომლის იქითაც ვერ მივდივართ და ვერაფერს ვაკეთებთ ბავშვებისთვის. პოლიცია შემოდის და ბავშვს ესაუბრება, ბავშვი უზრდელ სიტყვებს ეუბნება, ცუდად მიმართავს, აკნინებს, ამცირებს, პოლიცია ამას იტანს და მერე მიდის გაბოროტებული, მერე სოციალურ მუშაკზე და აღმზრდელებზეც ხშირად იყრიან ჯავრს, რა გინდათ, რატომ გვირეკავთ, ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია, უძლურები ვართ. ადრე იყო, რომ ჩვენ სახლში ძალიან ხშირად იძახებდნენ პატრულს, აღმზრდელი თვლიდა, რომ პოლიცია უნდა დაგვეხმაროს, მერე მივხვდით, რომ ამით კნინდებოდა, როგორც აღმზრდელის, ასევე პოლიციის როლი და ბავშვი გვეუბნებოდა: „აბა რა გააკეთეთ?!". „ძალიან ვიჭედებით კრიზისული და რთული ქცევის დროს, რაც არ უნდა თეორიული უნარები გადავცეთ ამ ხალხს, ცოდნა, ისეთი ქეისები მოდის, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, რომ ამ ბავშვებს მართლა, რაღაც სხვა სერვისი სჭირდებათ, ფსიქიატრების დიდი ჩართულობა სჭირდებათ, ფსიქოთერაპევტების დიდი ჩართულობა სჭირდებათ და ჩვენი აღმზრდელები, ფსიქოლოგები, რაც არ უნდა დავატრენინგოთ, ვერ მართავენ, ისეთი რთული ქეისები მოდის".*

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„გვჭირდება სპეციალიზებული მომსახურება ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ფსიქიკური პრობლემები, ასევე, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის სერვისები; ინდივიდუალური ქეისები რომ იყოს განხილული სერვისში ჩარიცხვის დროს, რომ არ დავაყენოთ საფრთხის წინაშე სხვა ბავშვების მდგომარეობა, რომლებიც უკვე სისტემაში არიან. ამის გარეშე, ვატყობთ, რომ ნელ-ნელა დაიხურება ის სერვისებიც კი, რაც გვაქვს".*

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„ძალიან მტკივნეული და აქტუალური თემაა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საკითხი“; „ბოლო პერიოდია, ძალიან მძიმედ დგას ეს კრიმინალური ქცევის პრობლემა“.*

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„ის, რომ 14 წლის ასაკამდე ბავშვებში მოიმატა კანონსაწინააღმდეგო ქცევებმა, არის ის, რომ, ერთი მხრივ, მათ ზუსტად იციან, რომ ეს კოდექსით გაწერილი უფლებაა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დგება და მეორეა, როგორ არის ეს მიწოდებული, როგორ იყენებენ ამას და ამ საკითხზე მუშაობაა საჭირო“.*

გამომდინარე იქიდან, რომ მოწოდებული ინფორმაციით, მიუსაფარ ბავშვთა ცენტრებსა და თავშესაფრებში ხშირად ირიცხებიან ბავშვები, რომლებიც ამ დაწესებულებების სამიზნე ჯგუფს არ მიეკუთვნებიან, ან მათ მიერ შეთავაზებული სერვისები ვერ პასუხობს ბავშვების საჭიროებებს და სპეციფიკური მომსახურება ესაჭიროებათ, ბავშვების ქცევითი პრობლემები კიდევ უფრო მეტად რთულდება, იზრდება კანონსაწინააღმდეგო ქცევების ჩადენის რისკი და ამასთანავე, ზიანდებიან სხვა ბავშვებიც. გარკვეული საფრთხის წინაშე არიან აღმზრდელებიც, რომელთაც უჭირთ ბავშვების ქცევის მართვა: *„იმიტომ, რომ ამ ბავშვების ზეგავლენა ერთმანეთზე ძლიერია და სხვა ბავშვებიც ერთვებიან დანაშაულებრივ ქმედებებში ... თითქოს, იშრომებ, იწვალებ და მერე, ერთი ხელის მოსმით, შეიძლება დაიკარგოს ბავშვთან მუშაობის შედეგი. ამ მხრივ, ვფიქრობ, საჭიროა, დამოუკიდებელი, ცალკე სერვისის არსებობა, რომელიც ცალკე მოემსახურება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებს და ცალკე მართლმსაჯულების ნაწილს მოიცავს“.*

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანახმად, გართულებულია იმ ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებების უზრუნველყოფა, რომლებსაც აქვთ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, რადგან არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც ბავშვს, იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის მკურნალობაზე თანახმა, ვერ აცნობიერებს პრობლემის სიმწვავეს, რაიმე გზით დახმარებას აღმოუჩენ: *„ბავშვი იძულებით მკურნალობას არ ექვემდებარება, არც არის რაიმე გამართული არასრულწლოვანზე მორგებული სისტემა ამ მიმართულებით და ზრუნვის ფორმაც არ იცვლება და არც არის რელევანტური, რომ ამის გამო შეიცვალოს“.*

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების შეფასებით, მხოლოდ რეფერირების ცენტრისა და ცალკეული უწყებებისა თუ სამსახურების საქმიანობა ვერ პასუხობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებებს და აუცილებელია მულტიგუნდური და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერება ყველა დონეზე, მათ შორის, განათლების სისტემაში.

2.4.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა და სერვისები

გამოკითხულ პროფესიონალთა, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმაციით, განსაკუთრებული სიმწვავით დგას იმ ბავშვების საკითხი, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისში ჩართვას საჭიროებენ, მათ შორის, მათთვის სტატუსის დროულად მისანიჭებლად და მათთვის შესაბამისი სერვისების მისაწოდებლად. შედეგად ბავშვების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. მიუსაფარი ბავშვებისთვის სერვისის მიმწოდებელი ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს: *„ერთზე ძალიან ვნერვიულობ, იმიტომ, რომ მართლა, რასაც ჰქვია, დავატარებ ფსიქიატრიულსა და ცენტრს შორის, იმიტომ, რომ იქ ვიცით, რა ტიპის მკურნალობას უტარებენ, წამლებით არიან გაბრუებულები. ბავშვი, რომელიც იწონიდა 28 კილოს, მესამედ შეყვანის შემდგომ გამოვიყვანეთ და იწონიდა 48 კილოს. იმხელა შეშუპება აქვს ბავშვს და არაფერი ტანსაცმელი აღარ ერგებოდა. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია წამლებით, მაგრამ ამას სჭირდება შესაბამისი ექსპერტიზა, მაგრამ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ძალიან თავს იკავებს, ასეთ რაღაცეებს როდესაც ვიტყვით ხოლმე. ის მედიკამენტები, რასაც ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი გვინიშნავს, მსოფლიო სტანდარტებს რომ გადავხედოთ, აბსოლუტურად ყველგან არის ამოღებული. ბევრი მედიკამენტი არ არის გამოკვლეული, როგორ მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, არის მხოლოდ რამდენიმე“*. ერთ-ერთი რესპოდენტი ასევე აღნიშნავს: *„როცა უფრო იზრდებიან, მერე მედიკამენტებთან ერთად მოიხმარენ მავნე ნივთიერებებს, იმიტომ რომ რეგიონებში ეს საერთოდ არ არის პრობლემა, ყველგან არის დათესილი ეს მარიხუანა. ისიც იციან, სად უნდა წავიდნენ, სად დასჭირდებათ თანხის გადახდა. მოიპოვებენ ამ ბალახს და ჩვეულებრივად ეწევიან. მერე ეს კიდევ უარესად მოქმედებს მათ ფსიქიკაზე“.*

ბავშვისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის შესაძლებლობაზე საუბრისას, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები მიუთითებენ რესურსების უკიდურეს სიმწირეზე. *„მთელ იმერეთში ერთი ფსიქოლოგი გვყავს. ხშირად სჭირდებათ ნევროლოგი და ფსიქიატრი. ამ საჭიროების გამო ხშირად სხვა რეგიონში ან რაიონშიც მიგვყავს ბავშვი, კონსულტაცია ფასიანია, ტრანსპორტირება რთულია. რეგიონებში, ზოგადად, პრობლემაა სპეციალისტის მოძიება, ხშირად ელოდებიან, კონკრეტული სფეროს სპეციალისტი როდის ჩავა რეგიონში. გვჭირდება კლინიკური ფსიქოლოგი“.*

2.4.5. სასამართლო

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სასამართლო პროცესებში ბავშვების ჩართულობის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საუბრობენ. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება

არასრულწლოვნის განცალკევებას, რაც ძალზე სენსიტიური საკითხია და ბავშვისთვის ხშირად ტრავმულ განცდებს უკავშირდება, არ ხდება ბავშვის წინასწარ ემოციური შემზადება ამ პროცესისათვის – *„მე რანაირად მოვამზადო ბავშვი, როდესაც გუშინ დამირეკეს 7 საათზე და უკვე სახლში ვიყავი და დღეს 11 საათზე უკვე წაიყვანეს ბავშვი“,* – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის აზრის გათვალისწინება, მაგალითად, როცა მას არ სურს სასამართლო პროცესზე მისვლა, განსაკუთრებით, როცა ბავშვი შშმ პირია ან აქვს მძიმე ემოციური მდგომარეობა – *„ხან ახერხებენ სოციალური მუშაკები, რომ დაუსწრებლად მოხდეს, ახლა ისეთი ტალღაა, რომ ყველა ბავშვი მიყავთ“.* არ ითვალისწინებენ ბავშვის მოწყვლადობას და წინასწარ არ განუმარტავენ მოვლენების ყველა შესაძლო განვითარებას, რაც პროცესებს შეიძლება მოჰყვეს, მაგალითად, რად შეიძლება დაუჯდეს ბავშვს წინასწარ იმის ცოდნა, რომ სასამართლოს მისი დედაც დაესწრება და ამ დროს ის არ ცხადდება – *„ბავშვს უხსნიან, რომ მშობელი დაიბარეს და შემდგომ, დედა არ მოვიდა, ეს ძალიან მტკივნეული იყო ბავშვისთვის. ამით კიდევ ერთხელ დაინახა, რამდენად უგულებელყოფილია მშობლის მხრიდან“.*

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი იხსენებს სასამართლოსთან ბავშვის ურთიერთობის ერთ კონკრეტულ მაგალითს და ამბობს, რომ ასეთი ქმედება იმაზე ყურადღების გამახვილებაა, რომ *„ეს ბავშვი საწყალია“,* ეს დისკრიმინაციული მიდგომაა, მაგალითად – *„იარლიყის მიწებება, რომ აი, შე საწყალო, აი შენ კალამი, ან აი, შენ შოკოლადი. ძალიან არასწორია. შეიძლება გაიკვირვონ, თუ ეს ბავშვი წრეებზე დადის ან რაიმეს აკეთებს, ვაიმე, წრეებზეც დადიხარ, რა მაგარია! არაფერი მაგარი არ არის, ჩვეულებრივი ამბავია, წრეებზეც დადის და უფრო მეტსაც უნდა ვაკეთებდეთ. მოსამართლისგანაც მოდის მსგავსი დამოკიდებულებები“.*

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგებმა მიუთითეს სასამართლო სისტემის ბავშვზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე: *„განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოებში ბავშვებზე მორგებული სივრცის არარსებობა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი ფსიქოლოგთან ერთად, სასამართლოს დერეფანში 2 საათი ელოდებოდა სხდომის დაწყებას, რა დროსაც სასამართლო შენობაში შემოიყვანეს 3 პატიმარი, ბორკილებით, რამაც ცუდად იმოქმედა ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე. გარეთ უნდოდა გასვლა, მაგრამ იქ მოძალადის მხარე იყო. ამიტომ, ბავშვს აღელვებულს მოუწია პროცესზე შესვლა“. სოციალურმა მუშაკებმა სასამართლოებში არსებული გარემოს გამოწვევებზეც ისაუბრეს: „სასამართლოში საათობით უწევდათ ლოდინი ბავშვებს, საერთო სივრცეში, იღლებიან და სტრესულ მდგომარეობაში არიან“.*[40] მათივე თქმით, ადგილი აქვს ადვოკატების მხრიდან ბავშვებზე ზემოქმედების მცდელობებსაც, რის აღკვეთასაც სოციალური მუშაკები ვერ ახერხებენ, რადგან არ აქვთ რაიმე ქმედითი ბერკეტი.

[40] სასამართლოში ლოდინის გამოწვევაზე საუბრობდნენ თავად ბავშვებიც.

2.4.6. სამართალდამცავებთან ურთიერთობა

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების გადმოცემით, პოლიცია არასათანადოდ რეაგირებს, როდესაც ბავშვი მას მეორე არასრულწლოვნის მხრიდან ჩადენილი ძალადობის თაობაზე მიმართავს. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების განმარტებით, შესაძლოა, იკვეთებოდეს სავარაუდო დაგვიანებული რეაგირების შემთხვევებიც, რის მაგალითადაც დასახელდა შემთხვევა, როდესაც პოლიციამ ერთი წლის შემდეგ მოიკითხა გაცხადებული ინციდენტის შესახებ – *„შსს-ს თანამშრომელმა ჰკითხა ბავშვს, ახლა გაქვს პრეტენზია იმ გოგოს მიმართ, ბავშვმა უთხრა, აღარც მახსოვს, ერთი წლის წინ რა იყოო, და დააწერინეს, რომ პრეტენზია არ აქვს, ანუ რეალურად დაიხურა საქმე ძალიან მარტივად“.* ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს, როგორც სამართალდამცავი უწყების მხრიდან ეფექტიანი რეაგირების გამოწვევაზე, ისე, მათი საქმიანობის შესახებ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების არასათანადო ინფორმირებაზე, რაც შეუსაბამო მოლოდინებს ქმნის. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტება: *„ძირითადი წუხილია ის, რომ სახელმწიფო ვერ ეხმარება, გამოძიებები უშედეგოა, პოლიცია წუხს ამათ დარეკილზე, ბავშვებს მძიმე ქცევები აქვთ, იურიდიული დახმარება მხოლოდ არასამთავრობოსგან გვაქვს. სასურველია შსს და პროკურატურა [მცირე საოჯახო ტიპის სახლებში] ატარებდეს საინფორმაციო შეხვედრებს აქტიურად. სერვისებს რესურსები ეწურებათ. ქეისებს ვეღარ ვმართავთ ეფექტურად“.* მისივე განმარტებით, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები. კერძოდ, გაიხსენა შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავი უწყების ერთეულში მივიდა, აღნიშნა, რომ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ეჭვი ჰქონდა, თუმცა, რადგანაც უშუალო ფაქტზე ვერ უთითებდა, განცხადების დაწერის საშუალებას არ აძლევდნენ. ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტებით, ამან ძალიან აღაშფოთა, განმარტა, რომ მას ფაქტზე მითითების ვალდებულება არ ჰქონდა და სამართალდამცავ უწყებას შემთხვევაზე უნდა ემოქმედა. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მას განცხადების დაწერის საშუალება და საბოლოოდ აღნიშნულ საქმეზე ერთი პირი, რომელზეც მას ეჭვი ჰქონდა, ტრეფიკინგის ბრალდებით დააკავეს. ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტებით, მათ ძალიან დიდი ძალისხმევის გაწევა უწევთ და სწორედ ეს იწვევს უნდობლობას. ამავე წარმომადგენელმა ასევე გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ბავშვი სახლში ლოყაზე სილურჯით მივიდა, სამართალდამცავი უწყებისადმი მიმართვის შემდგომ კი, მათ მხოლოდ აღმზრდელი გამოკითხეს, ხოლო ბავშვი არავის გამოუკითხავს.

სამართალდამცავი უწყების ერთეულებში ბავშვზე მორგებული სივრცეების სიმცირე, უწყების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, გარკვეულ შემთხვევებში, ბავშვთან ინტერვენციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის, ბავშვების უცხო პირთაგან განცალკევებით კომუნიკა-

ციის გამოწვევებს ქმნის. კერძოდ, ერთ-ერთი სერვისის მომწოდებლების აზრით, სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანისას, ბავშვების გამოკითხვის დროს, *„ქაოსური სიტუაციაა პოლიციის განყოფილებებში, შესაძლოა, ერთსა და იმავე სივრცეში სხვადასხვა პირი იკითხებოდეს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთმანეთის შემთხვევებს ისმენდნენ, რაც ძალიან დამთრგუნველია“.* მისივე თქმით, ზოგადად, არ იყო ბავშვზე მორგებული სივრცე და ეს პრობლემა ამიტომ წამოიჭრა.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე იხსენებს წარსულ წლებს, როცა *„შსს-ში იყო გამოყოფილი ერთი ადამიანი, მართლწესრიგის ოფიცერი, რომელიც გვირეკავდა, კითხულობდა, მოვიდა ბავშვი, დაბრუნდა, არ დაბრუნდა, ბავშვებმა იცოდნენ, რომ ვიღაც კითხულობდა“.* აღნიშნულს აღმზრდელი დადებითად აფასებდა და ფიქროდა, რომ მსგავსი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია.

2.4.7. დამოკიდებულებები

აღსანიშნავია პოლიციელების ცოდნა და დამოკიდებულება ბავშვთა უფლებების შესახებ. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, *„მე მგონია, რომ საკმარისად კარგად არის დაცული ბავშვის უფლებები ამ კუთხით ჩვენთან. საჭიროა მეტი მუშაობა ბავშვის მოვალეობების კუთხით, რადგან ბავშვს მოვალეობებიც გააჩნია, მით უმეტეს, რომ 21 წლამდე ჯერ კიდევ ბავშვად ითვლება“.*[41] *„მარტო უფლებები არა, მოვალეობები უფრო მნიშვნელოვანი არის, დამერწმუნეთ“. „ხშირ შემთხვევაში, მე მქონია შემთხვევა, რასაც დავკვირვებივარ უშუალოდ, როდესაც ბავშვმა იცის მხოლოდ უფლებები და არ ფიქრობს ვალდებულებებზე, აი, სწორედ იქ იწყება შემდეგ... რაღაც გარკვეულ შეცდომებში შედის თავად და რაღაც ისეთების გაკეთების უფლებას აძლევს საკუთარ თავს, რაც მისთვის არასასიამოვნო პირობებში აღმოაჩენს ხოლმე. ამ მხრივ არის უფრო მეტი სამუშაო, ჩემი აზრით. უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც რომ კარგად გაითავისონ მოზარდებმა თუ პატარებმა“.*

ბავშვის მხრიდან „ვალდებულების“ დარღვევის მაგალითად პოლიციელმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ბავშვი გამოკითხვისას გამომძიებელთან ზურგშექცევით დაჯდა და უარს აცხადებდა, რომ მისთვის პირისპირ ეყურებინა, ბავშვი განმარტავდა, რომ არ სურდა, გამომძიებლისთვის სახეში ყურება და ეს მისი უფლება იყო. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვის „ვალდებულება“ იყო ზრდილობიანად ესაუბრა გამომძიებელთან და მისი მოქმედება *„არ იყო ლამაზი“*. ამასთანავე, აღინიშნა, *„იმდენად თავდაჯერებულნი არიან თავიანთი უფლებებით, რომ ავიწყდებათ და აბსოლუტურად განზე აქვთ გაწეული პასუხისმგებლობა და*

[41] შენიშვნა, საქართველოს კანონმდებლობით, ადამიანი ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკამდე.

დანაშაულის განცდა, დანაშაულის ჩადენის განცდა. ვიმეორებ, რომ იმდენად თავდაჯერებული და გათავხედებული არიან თავიანთი უფლებების, ასე ვთქვათ, ზედაპირზე ამოტანით".

მანდატურის სამსახურის სოციალურ მუშაკებთან შეხვედრისას აღინიშნა ცალკეული პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პრობლემური დამოკიდებულების შემთხვევები, ბავშვებთან კომუნიკაციის, მათი უფლებების გაცნობიერებისა და დაცვის კუთხით. ასევე ითქვა, რომ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო ბავშვის უფლებების სათანადოდ დასაცავად. რესპონდენტმა ასევე გაამახვილა ყურადღება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვისადმი არასწორი დამოკიდებულებისა და ბავშვების თანდასწრებით სენსიტიური შინაარსის ინფორმაციის გაჟღერებაზე.

გამოიკვეთა სკოლაში სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებისადმი სტერეოტიპულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული საკითხებიც. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„ხაზგასმა, თქმა, რომ შენ იქ ყველაფერი გაქვს და რამ გაგაგიჟა".* ასევე, აღმზრდელების გადმოცემით, *„მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ ბავშვებს ცენტრალურ სკოლებში არ რიცხავენ, რადგან ცენტრალურ სკოლაში ქალაქის თავმომწონე ბავშვები არიან და კონფლიქტის დიდი შანსია."* ერთ-ერთი აღმზრდელი კი აღნიშნავს: *„სკოლა ცხელი წერტილია ამ ბავშვებისთვის. არიან დაჩაგრულები და გარიყულები და განათლების სისტემაში ბევრი სამუშაოა გასატარებელი ამ მიმართულებით".* სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„თუ რაიმე გაფუჭდა, ეჭვი ამათზეა";* „აი, ჩვენ მივიღეთ თქვენი ბავშვები, სხვა სკოლა არ მიიღებდა, როცა ვალდებულება აქვს მიიღოს, ტერიტორიულად აქვეა. ამ დამოკიდებულებას გრძნობენ ბავშვები, რომ მეორეხარისხოვნად უყურებენ".

დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ბავშვთა მართლმსაჯულების ნაწილში, თეორიულად არსებითად მისადაგებულია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, როგორც დასაწყისში აღინიშნა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, სწორედ, უფლებათა პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას, რაც უნდა ეფუძნებოდეს ცოდნას, ძლიერ და გამართულ, ბავშვზე ორიენტირებულ სისტემას და სათანადო რესურსების გამოყოფას.

კვლევის შედეგების თანახმად, ბავშვებს და მათთან მომუშავე პროფესიონალებს აქვთ არაერთგვაროვანი და ხშირად არასწორი ანდა არასაკმარისი ცოდნა ბავშვის უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. საგულისხმოა, რომ უფლებებისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ საერთაშორისო ნორმების შესახებ ცოდნა, არათანაბარია პასუხისმგებელი პირების სხვადასხვა რგოლში, ხელმძღვანელი პირებიდან – აღმზრდელებამდე. ეს უკანასკნელნი ყოველდღიურ შემხებლობაში არიან ბავშვებთან და სწორედ ამ რგოლში, ცოდნა საკმაოდ დეფიციტურია.

ბავშვების მიმართ ძირითადად კვლავ მხოლოდ მზრუნველობით დამოკიდებულებას იჩენენ და პრობლემურია მათი უფლების სუბიექტად აღიარება და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება. სამწუხაროდ, ბავშვების მხრიდან თავიანთი უფლებების რეალიზების მცდელობა, ხშირად უფროსების მხრიდან გაკიცხვის საგანი ხდება და პროფესიონალების მიდგომები თუ დამოკიდებულებები ეფუძნება არა ადამიანის უფლებების ღირებულებებს, არამედ ფრაგმენტულია და ძირითადად, ბავშვების კონტროლზე ორიენტირებული.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ რეზიდენტულ დაწესებულებებში და ასევე, დღის ცენტრებში, ხშირად, შესაძლოა, ირღვეოდეს ბავშვის უფლებები, არსებობდეს ფიზიკური და ფსიქოემოციური საფრთხეები, ასევე, შესაძლო ძალადობისა და უგულებელყოფის გამოცდილება. განსახილველ კონტექსტში ასევე აღსანიშნავია პრევენციული, მხარდამჭერი, სარეაბილიტაციო, თუ ინტერვენციის სერვისების სიმწირე.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების ყველა წარმომადგენელი მიუთითებს რესურსების მწვავე დეფიციტზე და იმაზე, რომ თუკი შესაბამისი რესურსები არ გამოიყოფა, ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის სისტემა, შესაძლოა, კიდევ უფრო დასუსტდეს. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები, დღეს ქვეყანაში მისაწვდომ რესურსებსაც კი ვერ იყენებენ სათანადოდ. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, შესაძლოა, უკავშირდებოდეს, სწორედ ინფორმაციის ნაკლებობასა და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების გადამზადების გამოწვევებს.

იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნებისა და მათთან შემხებლობაში მყოფი პროფესიონალების ბავშვის უფლებების შესახებ ცოდნით აღჭურვა, ბავშვის სავარაუდო უფლებადარღვევის პრევენციაცაა და თან, ერთგვარი იარაღიც, არა მხოლოდ ბავშვების დასაცავად, არამედ მათი განვითარებისათვის, პოზიტიური თვითაღქმისა თუ თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში მათი სრული ინტეგრაციისთვის. კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ:

ბავშვის უფლებების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა, როგორც ბავშვებში, ისე სპეციალისტებს შორის, ქმნის რისკს, რომ დროულად ვერ შეფასდეს სარისკო ან სახიფათო გარემოება და არ მოხდეს შესაბამისი ინტერვენცია, რაც ბავშვს კიდევ უფრო დაუცველად აქცევს. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვზე პასუხისმგებელი პირების დაბალი ინფორმირებულობა და/ან ბავშვის უფლებებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის უნარებისა და მიდგომების დეფიციტი, შესაბამისი გარე, დამხმარე სერვისების არაეფექტიანობა კი, ქმნის სივრცეს, რაც ზიანის მომტანია არა მხოლოდ კონკრეტული ბავშვისთვის, არამედ ბავშვთა მთელი ჯგუფისთვის.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების მომსახურების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა ბავშვებისთვის დამატებითი, მისაწვდომი და მიზნობრივი სერვისების საჭიროებების შესახებ, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ადიქციის დაძლევისა და ზოგადად, აუცილებელი სარეაბილიტაციო პროგრამების კუთხით. ხოლო, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, შემუშავდეს კონკრეტული, დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა ამ დამატებითი, ბავშვზე მორგებული სერვისების დასანერგად.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან კოორდინაციით შემუშავდეს ბავშვზე მზრუნველი პირების/აღმზრდელების პერიოდული და აუცილებელი გადამზადების ტრენინგ მოდული, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, დაფარავს პოზიტიური აღზრდის მეთოდებისა და რთული ქცევის მართვის საკითხებს;
- სააგენტოში დასაქმებული ყველა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი სიღრმისეულად გადამზადდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემატიკაზე და დაინერგოს მათი უწყვეტი გადამზადების სისტემა;
- სახელმწიფო ზრუნვაში მცხოვრები ბავშვებისთვის შემუშავდეს მათ საჭიროებებზე მორგებული საინფორმაციო მასალა, რომელშიც მარტივად და გასაგებად იქნება გადმოცემული უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია;
- ბავშვების უშუალო ჩართულობითა და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე, დაწესებულებებში დაინერგოს უკუკავშირისა და გასაჩივრების ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- სამართალდამცავებისადმი ნდობის ასამაღლებლად, და საჭიროებების შემთხვევაში, მიმართვიანობის ხელშესაწყობად, ჩატარდეს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე ორიენტირებული საინფორმაციო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს მათზე მორგებული ფორმით მიეწოდებათ ინფორმაცია სამართალდამცავი უწყების როლის, უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ;

- შეფასდეს, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პატრულ ინსპექტორებისა და გამომძიებლების რაოდენობის გასაზრდელად გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა და გამოკვეთილი საჭროებებისამებრ განისაზღვროს დამატებითი აქტივობები, მათ შორის, ჩატარდეს სპეციალიზაციის მოტივაციის კვლევა და ამის საფუძველზე გატარდეს სათანადო ღონისძიებები მათ ხელშესაწყობად და მოტივაციის ასამაღლებლად;
- შეფასდეს საპატრულო პოლიციისა და ბავშვებთან შემხებლობაში მყოფი სხვა თანამშრომლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რამდენად ეხმიანება პრაქტიკაში ამჟამად არსებულ გამოწვევებს და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, ბავშვის უფლებებზე საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებზე დაფუძნებით, დაიხვეწოს, მათ შორის, სპეციალიზებული პირებისთვის ბავშვებთან კომუნიკაციის, განსაკუთრებით, მოწყვლად ჯგუფებთან, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ, ძალადობის გამოცდილების მქონე, 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან ტრავმა-ინფორმირებული კომუნიკაციის სტრატეგიებზე, ქცევის წესებსა და დეესკალაციის ტექნიკებზე სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- ყველა ტერიტორიულ ერთეულში ბავშვზე მორგებული გასაუბრების ოთახების მოწყობამდე, ბავშვებთან გასაუბრებისას, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მაქსიმალურად იყოს დაცული კონფიდენციალურობა და ბავშვებთან გასაუბრება წარიმართოს შესაბამისად გამოყოფილ, უცხო პირებისგან განცალკევებულ სივრცეში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების გადამზადების პროგრამის ფარგლებში, დაიფაროს ბავშვებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და წინასწარგანწყობების, ბავშვთა უფლებების განუხრელი პატივისცემის, პირადი ცხოვრების, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ბავშვთა ჰარმონიული ფსიქოემოციური განვითარების საკითხები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს:

- ბავშვებზე მორგებული გარემოს ყველა სასამართლოს შენობაში მოწყობის მიზნით, შემუშავდეს დროში გაწერილი, კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს:

- ბავშვზე მორგებული ფორმით განხორციელდეს საინფორმაციო კამპანია სამსახურის საქმიანობის შესახებ ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან, და შემუშავდეს მიმართვის ალტერნატიული, მისაწვდომი მექანიზმები ბავშვებისთვის;
- პროაქტიულად შეფასდეს ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში ბავშვთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კუთხით არსებული მდგომარეობა.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს:

- ბავშვზე მორგებული ფორმით განხორციელდეს საინფორმაციო კამპანია სამსახურის საქმიანობის შესახებ ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვებთან, და შემუშავდეს მიმართვის ალტერნატიული მისაწვდომი მექანიზმები ბავშვებისთვის.